ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 4 ოქტომბერი 2007 №229 (3152) ფასი 50 თეთრი

## ცრემლიანი დღე

### ვიტალი დარასელია 50 წლის გახდებოდა






AFP

## გლაზგომ მილანს დიდა უტირა!

### ჩემპიონთა ლიგა სასტუმროა?



# უდიდესი ტკივილი სიხარული

გიო ახვლედიანი



დღეს თბილისში ძველ, ტკბილ ფეხბურთს ითამაშებენ. ყოფილი საბჭოეთის ვარსკვლავები ვიტალი დარასელიას ხსოვნის პატივსაცემად ითამაშებენ და იმ დროს გაიხსენებენ, როცა ფეხბურთი და მისი გმირები სულ სხვანაირად გვიყვარდა. ვიტალი დარასელიაც გმირი იყო: ყველაზე დიდი ქართული გოლის შემოქმედი და იშვიათი პატიოსნებისა და ოსტატობის ფეხბურთელი. მას სიცოცხლეშიც ყოველთვის ერგებოდა ტაში და სიყვარული და მისი არაფერი გახუნდება, სანამ ქართული ფეხბურთი არსებობს. სრულიად ახალგაზრდა, ის სახალხო გმირი შეიქნა და ამას არაფერი შეუცვლია მის ხასიათსა და თამაშში. სრულიად ახალგაზრდა, ის უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და ამან ყველაფერი შეცვალა ჩვენს ფეხბურთში. დღეს ვიტალი დარასელია ორმოცდაათი წლისა გახდებოდა. ის კვლავაც ჩვენი ფეხბურთის ყველაზე დიდი ტკივილი და ყველაზე დიდი სიხარულია.




## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

მაღაროელი. 3 ოქტომბერი. 15 საათი. თემურ მაღრაძე. 500 მაყურებელი

### მაღაროელი 3:0 ლოკომოტივი

1:0, 2:0, 3:0 მუშკუდიანი (10, 17, 40)

**მაღაროელი:** დოლაძე, მ. სამხარაძე, შუკაკიძე, გ. ბრეგვაძე, ზ. ტყემალაძე, გ. ქირია, გ. ილურიძე, გამცემლიძე (ჩოგოვაძე 83), ტყებუჩავა (ი. ზაზაძიძე 72), ზ. ხაჭიპერაძე, მუშკუდიანი (მგელაძე 78) სათადარიგონი: დარჯანია; გაფრინდაშვილი, ჯაჯანიძე, ცუცქირიძე მწვრთნელი: ბადრი ბრეგვაძე

**ლოკომოტივი:** ცირცვაძე, ა. კობიაშვილი, დ. ფოფხაძე, ლ. ჩაგელიშვილი, ქუხილავა, მ. ჟღენტი, ბუდალაშვილი, ტიკურიშვილი, (კირკიტაძე 74), ხოხონიშვილი, ბობოხიძე (დ. ჩაგელიშვილი 57), იმედაძე (ბახტაძე 63) სათადარიგონი: მიგინეიშვილი, ქურდაძე მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე

**გაფრთხილება:** ტიკურიშვილი (7), ლ. ჩაგელიშვილი (70)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ბ. ქიქინაძე, დ. კურტანიძე, გ. კიკაჩეიშვილი


გიორგი კიკნაძე

# მაღაროელი არ ხუმრობს

ნუკრი ლოლაძე ჭიათურიდან

**პირველლიგელმა** ჭიათურის „მაღაროელმა" წლეულს საქართველოს თასის გათამაშებაში მეორე უმაღლესლიგელი გააკრა ბეჭებზე — ჯერ ბოლნისის „სიონი" ხომ დაამარცხა ორი მატჩის ჯამში 6:2, რითაც ჯგუფურ ეტაპზე თამაში გაინაღდა, გუშინ კი თბილისის „ლოკომოტივს" 3:0 მოუგო.

ჭიათურელები B ჯგუფის პირველ შეხვედრაში „ეროვნულზე" 0:2 დამარცხდნენ თბილისის „დინამოსთან", მაგრამ იმ თამაშშიც გამოჩნდა, რომ ზემოიმერლები ამ ჯგუფში ადვილად არაფერს დათმობენ, რისი დადასტურებაც გუშინდელი მატჩი იყო.

გიორგი კიკნაძე ჭიათურაში თითქმის მეორე შემადგენლობით ჩავიდა, მაგრამ თავის გასასამართლებლად ეს არგუმენტი ვერ გამოდგება.

„მაღაროელი" უკვე მე-40 წუთზე იგებდა სამი ბურთით და მთელი 90 წუთი უპირატესობასაც ფლობდა.

მე-10 წუთზე კუთხურს არეულობა მოჰყვა თბილისელთა საჯარიმოში, ბურთი გოჩა ბრეგვაძემ მოიხელთა და დაარტყა, რიკოშეტის შემდეგ ბურთი ზურაბ მუშკუდიანს მიუგორდა და ახლოდან გატანა აღარ გასჭირვებია.

„ლოკომოტივი" მალევე შეეცადა, გაეთანაბრებინა — ჯერ გრიგოლ იმედაძეს აულო შალვა დოლაძემ, შემდეგ კი ბუდალაშვილს არ გაატანინა. მე-17 წუთზე კი ჭიათურელებმა მეორედ აიღეს დედაქალაქელთა კარი — პაატა გამცემლიძემ გრძელი გადაცემა გაუკეთა გიორგი ქირიას, მან კარგად მოძებნა მუშკუდიანი და 2:0.

ამის შემდეგ ორივე გუნდი ძირითადად მოედნის ცენტრში იბრძოდა და ხიფათი არც ერთ კართან არ ყოფილა. გასაკვირი სტუმრების უნიათობა იყო, თორემ ჭიათურელებს ორი გოლი გატანილი და თავი ქუდში ჰქონდათ.

ტაიმის ბოლოს მესამედაც იხეირა მუშკუდიანმა. მარჯვენა ფრთიდან ზურაბ ტყემალაძემ ჩააწოდა საჯარიმოში, რასაც მუშკუდიანის თავური მოჰყვა — 3:0.

მეორე ნახევარში „მაღაროელი" თავს საიმედოდ იცავდა. ცენტრალური მცველები, ბრეგვაძე და შუკაკიძე უშეცდომოდ იდგნენ. მატჩი ისე მიილია თბილისელებს შეტევაში ხეირიანი არაფერი გამოსვლიათ, მასპინძლებს კი კიდევ ორჯერ კიდევ შეეძლოთ გატანა — ტყემალაძემ აუტიდან ბურთი საჯარიმოში ჩააგდო, ბრეგვაძის თავური კი ხარიხას მოხვდა, მოგვიანებით იმავ ტყემალაძემ ისევ აუტიდან ჩააწოდა და ამჯერად ბურთი პირდაპირ ხარიხას დაეცა...

**A ჯგუფი**

**ტორპედო 0:2 სპარტაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 10:1 | 6 |
| სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მესხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ტორპედო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

**B ჯგუფი**

**მაღაროელი 3:0 ლოკომოტივი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| მაღაროელი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

# მითხარით და, ვინც ვერ გაიგოს...

## იაშვილს გული სიტყვამ კი არა, უსიტყვობამ დასწყვიტა

თავშივე ვთქვათ, რომ შემადგენლობის შერჩევა მთლიანად მწვრთნელის პრეროგატივაა. მწვრთნელია და გუნება, ვისაც საჭიროდ თვლის, იმას გამოიძახებს და ათამაშებს. ჩვენ კი ის შეგვიძლია, ამა თუ იმ ფეხბურთელის გამოძახების ან არგამოძახების გამო გავიკვირვოთ და მიზეზების გასარკვევად კითხვები დავსვათ. როდესაც კლაუს ტოპმიოლერმა საიტალიო შემადგენლობა გამოაცხადა, იმწამსვე გაჩნდა კითხვა: სად არის ალექსანდრე იაშვილი? მით უმეტეს, რომ ვიცით, „იაშკა“ ძალიან კარგ ფორმაშია, მისი გუნდი კი ბუნდესლიგაში ლიდერთა შორისაა.

**ალექსანდრე იაშვილის** გამოუძახებლობის მიზეზებზე თავად ფეხბურთელს დავეკითხეთ და იმედი გვაქვს, მალე იგივე კითხვის დასმის საშუალება ნაკრების მწვრთნელისთვისაც მოგვეცემა...



— ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი მატჩებისთვის ნაკრებში თუ არ გამომიძახებდნენ. შესარჩევი ჯგუფის ფავორიტებს ვეთამაშებით და ჩვენი სიძლიერეც სწორედ მათთან უნდა დავამტკიცოთ, ასეთ დროს კი ნაკრებს მიღმა დამტოვეს — გვითხრა გულდაწყვეტილმა ალექსანდრე იაშვილმა.

— რას ფიქრობ, ნაკრებში გამოუძახებლობის მიზეზი რა უნდა იყოს?

— სწორედ ის მწყინს, კაციშვილს რომ არაფერი უთქვამს, თორემ სხვა მხრივ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მერე რა, რომ კონკრეტული მატჩებისთვის არ დამიძახეს. ეს არაფერი, უბრალოდ, ვფიქრობ, იმას მაინც ვიმსახურებ, გამოუძახებლობის შესახებ პირადად მაცნობონ და ეს ამბავი პრესით არ გავიგო.

— **არც ფეხბურთის ფედერაციიდან, არც ნაკრების ხელმძღვანელობისგან არავინ დაგკავშირებია?**

— არა, არავინ. როგორც გითხარით, პრესით შევიტყვე, რომ გამოძახებულთა შორის არ ვარ. ცხადია, მწვრთნელის საქმეა, ვის რომელი მატჩებისთვის დაუძახებს და მის კომპეტენციაში როგორ ჩავერევი, მაგრამ ალბათ კარგად გესმით, რასაც ვამბობ: ხომ შეიძლებოდა, ვინმეს დაერეკა და ეთქვა, ამ მატჩებისთვის არ გვჭირდებიო. სხვა საქმეა ისიც, რომ ჩემნაირი გამოცდილი ფეხბურთელი ნაკრებში ბევრი არ არის.

— **იქნებ ისეთ სათამაშო ფორმაში არ ხარ, როგორიც კლაუს ტოპმიოლერს აკმაყოფილებს?**

— ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ და ნაკრებისთვის სასარგებლო ვიქნებოდი. არ ვიცი, შეიძლება, კლაუს ტოპმიოლერი სხვანაირად ფიქრობს. მართალია, „კარლსრუეს“ შემადგენლობაში ჯერ მხოლოდ ერთ ტაიმს ვთამაშობ, მაგრამ რასაც ვთამაშობ, ყველა კმაყოფილია. ახლა კი უკვე ვიცი, რომ ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „შალკეს“ წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში ვიქნები.

— **ეს საიდან იცი?**

— მწვრთნელმა მითხრა, რომელიც ლამის ყოველი ვარჯიშის შემდეგ ცალკე მელაპარაკება ხოლმე.

— **„შალკესთან“ ძირითადში ყოფნა ნიშნავს, რომ მომავალშიც სტაბილურად სასტარტოში იქნები?**

— „კარლსრუეს“ მწვრთნელმა ჩემი შესაძლებლობები კარგად იცის და მენდობა. აქამდე რომ მეტწილად შეცვლაზე ვთამაშობდი, ეს ახალ გუნდში გადასული ფეხბურთელისთვის ჩვეულებრივი ამბავია. ახალ გარემოსთან, ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან ადაპტაციას გარკვეული დრო სჭირდება. ახლა კი ეს პერიოდი უკან მოვიტოვე და ძირითად შემადგენლობაშიც უფრო ხშირად ვიქნები.

— **„კარლსრუეში“ სათამაშო პოზიცია ხომ არ შეგიცვლია?**

— თავდამსხმელების უკან მხოლოდ „ლევერკუზენთან“ ვითამაშე, სხვა შეხვედრები კი მარცხენა შემტევ ნახევარმცველად ჩავატარე და ვფიქრობ, ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებდი. „დორტმუნდთან“ მატჩში საგოლე პასიც გავაკეთე.

— **გუნდი ბუნდესლიგაში ამჟამად მესამე ადგილზეა. „კარლსრუესთვის“ ეს მოულოდნელი იყო?**

— ბუნდესლიგაში ახალგადასული გუნდისგან ასეთ დასაწყისს და ოთხი გასვლითი შეხვედრიდან სამის მოგებას არავინ ელოდა, მაგრამ ისიც ყველამ იცის, რომ მესამე ადგილზე დიდხანს ვერ გავჩერდებით. თითქმის მთელი ჩემპიონატი წინაა და ბევრი რთული მატჩი გველის. წლეულს ჩვენი მიზანი პრიზიორობა ან ხუთეული არ არის, მეცხრე ადგილზეც რომ გავიდეთ, არავინ გვისაყვედურებს. „კარლსრუეს“ ასეთი წარმატებული სტარტის შემდეგ კი, ვერ წარმოიდგენთ, ქალაქში რა ხდება. ჩვენს ყოველ მატჩს, შინ თუ სტუმრად, ზეიმის ელფერი აქვს, მთელი სეზონის ბილეთები უკვე გაყიდულია და როცა ქომაგისგან ასეთ პატივისცემას გრძნობ, მოდუნების უფლება არ გაქვს. ქომაგისთვის ჩვენი მადლობა კარგი თამაშია და ვეცდებით, მთელი სეზონი ასევე ჩავატაროთ. თუმც, გავიმეორებ, რომ მესამე ადგილის შენარჩუნება ძალიან გაგვიჭირდება.

**კობა ინასარიძე**



# სამი დღეც და, ყენია შალკელია

**ლევან ყენია** სამ დღეში გაემგზავრება გერმანიაში და გელზენკირხენის „შალკესთან“ კონტრაქტს გააფორმებს — თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცმა, ყენიას ბიძამ, გიორგი კიკნაძემ გუშინ გვითხრა, ეს ამბავი უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილიაო.

რა თქმა უნდა, ყენიას „შალკეს“ ძირითად გუნდში თამაშის უფლება ჯერ არა აქვს, იგი „ხუმარების“ 19-წლამდელთა გუნდში იბურთავებს.

**ნუკრი ლოლაძე**

# ნუდნიმ ამერიკა მოიარა და გუნდს ეძებს

**სერგეი ნუდნი** ქართველ გულშემატკივრებს კარგად ეხსომებათ. მოლდოველი ნახევარმცველი თითქმის ორი წელიწადი თამაშობდა „ზესტაფონში“ და საკმაოდ ყოჩაღადაც.

იგი ერთი წლის წინ დაშორდა იმერულ კლუბს და რამდენიმე თვის წინ ბელარუსში, მინსკის „დინამოში“ ამოჰყო თავი, თუმც ახლა ნუდნის ახალი კლუბის პოვნა მოუწევს, რაკილა მინსკში არ ათამაშებენ და სულაც გუნდიდან უშვებენ.

ისიც შევიტყვეთ, რომ ნუდნი „ზესტაფონიდან“ წასვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ გუნდში ისინჯებოდა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოუვიდა.

**ილია ნანობაშვილი**



## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# შოტლანდიამ უკრაინას და საქართველოს გამოუცხადა



**შოტლანდიის** ნაკრების თავკაცმა ალექს მაკლიშმა 24-კაციანი შემადგენლობა დაასახელა. „მამაცი გულები“ 13 ოქტომბერს შინ უკრაინას, 17 ოქტომბერს კი თბილისში საქართველოს ეთამაშებიან.

სქოთებს ერთი შესამჩნევი დანაკლისი აქვთ: ტრავმის გამო სიაში ვერ მოხვდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფლანგელი ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი.

***მეკარეები:*** *კრეიგ გორდონი (სანდერლენდი, ინგლისი), დევიდ მარშალი (ნორვიჩი, ინგლისი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი);*

***მცველები:*** *გრემ ალექსანდერი (ბარნლი, ინგლისი), გარი კოლდუელი, სტივენ მაკმანუსი (სელტიკი), კრისტიან დეილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ალან ჰატონი, დევიდ ვეირი (რეინჯერსი), გარი ნეისმიტი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი), ჯეი მაკეილი (დერბი, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *სკოტ ბრაუნი, პოლ ჰარტლი (სელტიკი), ბარი ფერგიუსონი, ლი მაკკალოჰი (რეინჯერსი), სტივენ პირსონი, გარი ტილი (ორივე დერბი, ინგლისი), ბარი რობსონი (დანდი იუნაიტედი);*

***თავდამსხმელები:*** *კრეიგ ბიტი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი, ინგლისი), შონ მელონი (ასტონ ვილა, ინგლისი), კენი მილერი (დერბი, ინგლისი), გარი ოკონორი (ბირმინგემი, ინგლისი).*



რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ჩიხრაძე და ზურაბ ფოცხვერია

ბაჩო კოპილაძის ფოტო

# 2007: ბურთმა რატი დაკარგა

## წინამძღვრიშვილმა იცის: ჯერ რეაბილიტაცია, მერე კი კონკურენცია

ამ სეზონში გლდანში „ამერის" სტადიონზე თუ ყოფილხართ, დააკვირდებოდით: შემადგენლობების გამოცხადებისას, „ამერის" 18-კაციანი შემადგენლობის ჩაკითხვის მერე გამომცხადებელი ბესიკ ჩიმაკაძეს და რატი წინამძღვრიშვილსაც ახსენებს. არადა, გეხსომებათ, კლუბის ეს ორი ახალგაზრდა თავდამსხმელი, ზაფხულში მძიმედ დაშავდა და ფეხბურთს რამდენიმე თვით ჩამოშორდა. ხოლო შემადგენლობის გამოცხადებისას მათი გვარების ხსენება კი „ჩიმაკას" და რატის გასამხნევებლადაა — ისინი გუნდის წევრები არიან და როგორც კლუბის სეზონისწინა ცნობარში წერია, ამერელები ჩემპიონატის პირველ წრეს სწორედ მათ უძღვნიან.

ესპანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან საშინაო მატჩის წინ სამ ადგილას მოტეხილი ფეხი ბესიკ ჩიმაკაძეს უკვე შეუხორცდა და უყავარჯნოდაც დადის, სეზონისწინა ჩეხურ შეკრებაზე დაშავებული რატი წინამძღვრიშვილი კი ხვალ დილით — ჩეხეთშივე მიემგზავრება მეორე ოპერაციის გასაკეთებლად

— ერთი სული მაქვს, საოპერაციოდ როდის წავალ. რაც შეიძლება მალე მინდა ვარჯიშის დაწყება. ახლა ოპერაციის დანიშვნის დღეს ველოდები და შეიძლება, ჩეხეთში ხვალვე წავიდე — გვითხრა, რატიმ გუშინ, როცა ჯერ კიდევ დაუზუსტებელი იყო მისი გამგზავრების თარიღი.

— როგორც ვიცით, აქამდეც უნდა წასულიყავი...

— მეორე კვირაა ველი, როდის დამინიშნავენ ოპერაციას. მაგრამ ჩემი ქირურგი, ლადისლავ ვანეჩეკი ჩეხეთში არ იყო და ამიტომ გადამედო გამგზავრება.

— მუხლზე პირველი ოპერაციის შემდეგ ორი თვეა, თბილისში ხარ. ეს პერიოდი როგორ გამოიყენე?

— ოპერაციის მერე რომ გამომიშვეს, დეტალურად ამიხსნეს, რა უნდა მეკეთებინა. აუზზე დავდივარ და ტრენაჟორებზე სპეციალურ ვარჯიშებს ვაკეთებ. ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვიტვირთები. როგორც მითხრეს, რეაბილიტაციის კურსი ოპერაციებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

— ახლა რამდენი ხნით მიდიხარ ჩეხეთში?

— ალბათ ერთი თვით. ჯვარედინ მყესებზე ოპერაციის მერე რეაბილიტაციას კლინიკაშივე დავიწყებ და თბილისში მერე დავბრუნდები.

— რას გეუბნებიან, სავარაუდოდ როდის შეძლებ ბურთით ვარჯიშს?

— ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. წლეულს რომ ვერ გავეკარები ბურთს, ერთი ეგ ვიცი და, გაისად თებერვალში დავიწყებ სრულფასოვან ვარჯიშს თუ გაზაფხულზე, ამას დრო გვიჩვენებს, ოპერაცია და რეაბილიტაცია როგორ ჩაივლის, იმის მიხედვით.

— შენი და ბესიკ ჩიმაკაძის არყოფნაში „ამერში" ორი თავდამსხმელი გამოჩნდა — ბაჩანა ცხადაძე და რევაზ გოცირიძე. ანუ თქვენი დაბრუნების მერე კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება...

— მჯერა, როგორც აქამდე ვთამაშობდი, დაბრუნების მერე ცოტა ხანში უკეთეს ფორმაში ვიქნები. ისე კი, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ ბაჩანამ ბოლო მატჩებში ოთხი გოლი გაიტანა და ისიც, რომ დიმა ტატანაშვილი საქართველოს ნაკრებში გამოიძახეს.

**კოტე კეკელია**



ჩეხურ „ლიბერეცთან" მიღებულმა ტრავმამ რატის მთელი სეზონი გააცდენინა

გიორგი დარჯანიას ფოტო

# თუ ვიბრძოლებთ და თუ გაგვიმართლა...

## ზურაბ მენთეშაშვილი: იტალიასთან გამოგვდის, რადგან თამაშით ვგავართ



ამ შესარჩევ ციკლში ზურაბ მენთეშაშვილი ალბათ ერთადერთია, ტრავმის გამო ნაკრების ოფიციალური მატჩი რომ არ გამოუტოვებია. ლატვიური „ვენტსპილსის" საყრდენი ნახევარმცველი კლაუს ტოპმიოლერის ნდობით სარგებლობს და, შეიძლება ითქვას, ნაკრების ძირითადში ადგილი დამკვიდრებული აქვს. ზურაბი 8 სექტემბერს უკრაინასთან მეორე ტაიმში შეცვალა ტოპიმ და მერე აღმოჩნდა, რომ ცვლილება იძულებითი იყო: ფეხბურთელს ტვინის შერყევა მოუვიდა, რის გამოც 12 სექტემბერს აზერბაიჯანთან ამხანაგურში ვერ ითამაშა...

— ლატვიაში რომ ჩავედი, კიდევ კარგახანს უჯანოდ ვიყავი, ათი დღეა, რაც მწყობრში ვარ და ნელ-ნელა უკეთეს ფორმაში შევალ. ისე, ახლაც ხანდახან ცუდად ვგრძნობ ხოლმე თავს, როცა ამინდი იცვლება, — გვითხრა მენთეშაშვილმა, ვისაც გუშინ ლატვიაში დავუკავშირდით.

**— იტალიასა და შოტლანდიასთან მოახლოებულ ევროშესარჩევ მატჩებზე რას იტყვი?**

— ჯერ იტალიაზე ვფიქრობ. სულაც არ მგონია, რომ უშანსოდ ვართ. თუ მაგრად ვიბრძოლებთ და იღბალიც არ გაგვწირავს, ქულის წამოღება შეიძლება. თანაც, იტალიასთან რაღაცნაირად გამოგვდის თამაში — მართალია, არც ერთხელ არ მოგვიგია მათთან, მაგრამ ისეც ყოფილა, უპირატესობა ჩვენ გვქონია.

**— და როგორ ფიქრობ, რატომ გამოგდით თამაში იტალიასთან და არა, ვთქვათ, საფრანგეთთან?**

— იმიტომ, რომ იტალიას ვგავართ თამაშის სტილით. ჩვენც მათსავით ტექნიკურები ვართ. თბილისში შარშან რომ 1:3 წავაგეთ, გეხსომებათ, ტაიმნახევარი არაფერი დავუთმეთ.

— „ვენტსპილსზეც" ვთქვათ: „კაუნასს" მოუგეთ და ბალტიის თასის ფინალში გახვედით...

— ძნელი მატჩები გვქონდა. „კაუნასს" სტუმრად 0:0 ვეთამაშეთ, შინ კი 1:0 მოვუგეთ და ფინალი ნოემბერში გვექნება ლიეპაიას „მეტალურგსთან".

— ლატვიის ჩემპიონობაზე აღარ ფიქრობთ?

— როგორ არა, ჯერ ყველაფერი წინაა. „ვენტსპილსმა" ბოლოს კარგი ფორმა აკრიფა, ლატვიის თასი უკვე მოვიგეთ და ახლა ჯერი ჩემპიონობაზეა.

— კიევის „დინამოდან" განათხოვრებული დავით იმედაშვილი რატომ არ თამაშობს „ვენტსპილსში"?

— ალბათ, მოხვდება ძირითადში, თუმცა ახლა საზარდული აწუხებს — ათი დღეა, არ უვარჯიშია.

**ილია ნანობაშვილი**

# სირაძე 18 წუთით დაბრუნდა და...



**დაახლოებით** ორკვირიანი შესვენების შემდეგ დავით სირაძემ კვლავ ითამაშა „პადერბორნში", მაგრამ მხოლოდ 18 წუთი... მისმა გუნდმა 11:1 მოუგო გერმანიის ქვედალიგელ „ტოფპელს", ჩვენიანი კი ძირითადში იყო.

„პადერბორნის" ვებგვერდზე წერია, რომ სირაძემ ფეხი იტკინა, თუმც საშიში არაფერია, მომდევნო მატჩში „ალბათ" ითამაშებსო. ეს „ალბათ" კი საქართველოს ნაკრების თამაშების მოახლოებისას, ხშირ შემთხვევაში, „არად" იქცევა ხოლმე. იმედია, ამჯერად ასე არ მოხდება...

**ილია ნანობაშვილი**

# ამისულაშვილმა მოხუცები და ინვალიდები მოინახულა

**ნალჩიკის** „სპარტაკმა" საქველმოქმედო აქცია მოაწყო, კერძოდ, რესპუბლიკურ ინტერნატში მოხუცები და ინვალიდები მოინახულა. ალეკო ამისულაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა მათ საკვები დაურიგეს.

„ეს ერთჯერადი აქცია არაა. „სპარტაკი" შარშანდლიდან ეხმარება ბავშვთა სახლს, ახლა კი მოხუცებსა და ინვალიდებსაც მივაქცევთ ყურადღებას" — თქვეს ფეხბურთელებმა.


ალიშერ უსმანოვი


დევიდ დინი

# კაი ოჯახიშვილი

## ნუ გადავაყოლებთ ვიღაცის ზიზღს არსენალს

**ალიშერ უსმანოვს** ინგლისურ პრესაში „არსენალის“ გარშემო მობაჯბაჯე რუსული დათვი უწოდეს, თუმცა, რატომ გარშემო, როდესაც ლონდონური კლუბის მთავარი მეწილე სწორედ ის გახლავთ? და კიდევ, ის სულაც არ არის რუსი, უზბეკია, მაგრამ ჯანდაბას, ვინაიდან ფულს რუსეთში აკეთებს, უსმანოვის რუსად გამოცხადებას ინგლისელებს შეცდომად ნუ ჩავუთვლით, მით უმეტეს, რომ მათთვის, თან ფეხბურთზე მწერალთათვის, სიტყვა უზბეკის ხსენება და მერე მისი ფანებისთვის განმარტება, ზედმეტ დაღლასთან არის დაკავშირებული და იოლად გამოდიან.

მაგრამ ჩვენთვის, საბჭოეთგამოვლილი ქომაგებისთვის რუსობას, უზბეკობას თუ ქართველობას რალაც მნიშვნელობა ნამდვილად აქვს და ამიტომ, სანამ ინგლისელი ჟურნალისტების ნათქვამს დავუბრუნდებოდეთ, განვმარტოთ: ალიშერ ბურხანოვიჩი ლითონთა ბიზნესმაგნატია, რომელზეც ოფიციალურად ამბობენ, რომ 5,5 მილიარდი დოლარი აქვს. მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში ის კიდევ ექვს კაცთან ერთად 142-ე ადგილზეა. „არსენალის“ მთავარმა მეწილემ 80-იან წლებში სხვადასხვა დანაშაულისთვის საბჭოთა ციხეებში ექვსი წელიწადი გაატარა. ცნობისთვის: მამამისი ტაშკენტში პროკურორი გახლდათ. დღეს ალიშერ უსმანოვი 54 წლისაა.

აი, ახლა კი დავუბრუნდეთ ინგლისურ თემატიკას — „რუსულმა დათვმა“, თურმე, ლონდონელ „მეთოფეთა“ ყოფილ ვიცე-თავმჯდომარეს, დევიდ დინს შეუთვალა, ზედმეტი ნუ მოგდის, კლუბის დირექტორატის წევრების ზიზღით მათ წინააღმდეგ ომს ნუ დაიწყებ და ამ ომს თვითონ კლუბს ნუ გადააყოლებო. მოგეხსენებათ, დინი „არსენალის“ ახლანდელმა დირექტორებმა ცხოვრების საქმეს, „არსენალის“ საქმეთა მართვას ჩამოაშორეს.

და მაინც, მოდით, უკეთ გავერკვეთ, ვინ არის და სად მუშაობს დღეს დევიდ დინი ან საერთოდ, რა ხდება „არსენალის“ თავს? ისე, ამის შესახებ „სარბიელის“ მკითხველმა კარგა ხანია, იცის: უსმანოვის იმპერიაში არსებობს ასეთი კომპანია, Red and White Holdings, რომლის არა-აღმასრულებელი დირექტორიც გახლავთ ბატონი დინი და რომელიც „მეთოფეთა“ 23 პროცენტს ფლობს. სხვა სიტყვებით, „არსენალში“ უსმანოვი სწორედ დინმა მიიყვანა, რითაც დაუპირისპირდა ამერიკელ ბიზნესმენ პიტერ ჰილ-ვუდს — კლუბის თავმჯდომარეს, რომლის მისვლის მერეც აირდაირია მისი საქმეები... ყოველ შემთხვევაში, დინის ნამდვილად. მაგრამ უსმანოვი უფრო გრძელვადიან თამაშშია ჩაბმული და ამ თამაშის გეგმიდან გამომდინარე, დინის პირადი ვენდეტით წყლის ამღვრევა არ აწყობს.

„ჩვენ არ უნდა ვიქცეთ დევიდ დინისა და კლუბის დირექტორთა დაპირისპირების მძევლებად. ის ინფორმაცია, რაც თავიდან გვქონდა და ის, რაც დაგვხვდა, ორი სრულიად განსხვავებული რამ გახლავთ. ჩვენ არ ვიცოდით, თუ მისტერ დევიდ დინსა და „არსენალის“ დირექტორატს შორის ასეთი მწვავე დაპირისპირება იყო. თავიდან, როდესაც დინი დაგვიკავშირდა, მას ჩვენთვის ასეთი წინააღმდეგობის ამბავი არ მოუყოლია. აშკარაა, რომ რაც კლუბში ხდება, მეტისმეტად პირადი და ზედმეტად ემოციურია. ასე და ამგვარად, ჩვენი ამოცანაა, ეს ყველაფერი დიდ კატასტროფად არ მოგვიტრიალდეს. ვფიქრობთ, მისტერ დინი დავიყოლიოთ და ვუთხრათ, რომ მისი პირადი პრობლემები კლუბის დირექტორატთან რამენაირად უნდა მოგვარდეს. ვითარების მოსაწესრიგებლად მეორე მხარესთან, ანუ დირექტორებთანაც ვაპირებთ საუბარს...

...ამასთან, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა დევიდ დინს იმისათვის, რომ თავისი აქციები სწორედ მე მომყიდა და არა ვინმე სხვას. სწორედ ამიტომ დავნიშნეთ ის არა-აღმასრულებელ დირექტორად ჩვენს კომპანიაში და ნამდვილად არ მინდა, მისი და დირექტორატის კონფლიქტმა ჩემი და მისი ურთიერთობა გააფუჭოს. მე დირექტორატთან ჩემი საკუთარი ურთიერთობის აწყობა მჭირდება. ამ საკითხებზე დევიდს პირდაპირ და გასაგებად უკვეველაპარაკე“.

და როგორია პიტერ ჰილ-ვუდის რეაქცია? მან განაცხადა, რომ დინისთან კონფლიქტი თანამშრომლობას არ აპირებს, თუმცა უსმანოვმა და მისმა ბიზნეს-პარტნიორმა ფარად მოშირიმ, თავის მხრივ, ბრძანეს, რომ მისტერ დინის „ჩარეცხვას“ ნამდვილად არ აპირებენ, რადგან მათ ძალიან კარგად ესმით, თუ როგორ უყვარს დინს „არსენალი“ და ესმით, რომ ამ კლუბის ბოლო წლების დიდი წარმატები ძალიან არის მის სახელთან დაკავშირებული — 11 წლის წინ „მეთოფეთა“ მწვრთნელის თანამდებობაზე არსენ ვენგერი სწორედ დევიდ დინმა მიიყვანა.

მოშირი: „ჩვენ დევიდთან ექვსი თვის ურთიერთობა გვაკავშირებს, „არსენალთან“ კი ოთხი თვეა, კავშირში ვართ. აი, რაც შეეხება დევიდის ურთიერთობას „არსენალთან“, ის ძალიან ხანგრძლივი და ღრმაა, რისი არდანახვაც არაფრით შეიძლება. ჩვენ ამას გაგებით მოვეკიდებით“.

საინტერესოა, რომ როგორც ზემოხსენებულმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს, უსმანოვს „არსენალის“ წინ ძალები „ლივერპულსა“ და „ტოტენჰემ ჰოთსპურშიც“ უცდია.

უსმანოვი: „მე თავის დროზე ფარადს ვუთხარი, რომ ჩვენ უნდა გვეყიდა კლუბი, რომელიც გვეყვარებოდა. გულგარეთ, ასე ვთქვათ, მესამე კლუბის ყიდვა დიდი შეცდომა იქნებოდა. ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყიდვის ვარიანტი რომ გამოგვჩენოდა, „არსენალის“ ფანობას თავს დავანებებდით, მაგრამ „არსენალი“ ვიყიდეთ და ეს იმას ნიშნავს, რომ ამ გუნდს ბოლომდე უნდა ვუერთგულოთ. თან, მე „არსენალის“ გულშემატკივარი ყოველთვის ვიყავი. მახსოვს ის დრო, როდესაც აქ ტონი ადამსი თამაშობდა, მწვრთნელი კი ჯორჯ გრემი იყო, ხოლო არსენ ვენგერის მოსვლის შემდეგ „არსენალი“, უბრალოდ, შემიყვარდა. მინდა ვიყო ნაწილი იმ დასისა, სადაც არსენი რეჟისორია“.

მოგეხსენებათ, ალიშერ უსმანოვი მეორე რუსი ოლიგარქია, რომელიც ინგლისურ პრემიერლიგაში საქმიანობს. პირველი „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი გახლავთ, რომლის შესახებაც უსმანოვმა ასე თქვა: „ჩელსი“ მაშინ მომწონდა, როდესაც იქ ძოლა და ვიალი თამაშობდნენ. მაშინ მე და რომანი დავდიოდით ამ გუნდის შეხვედრებზე. მე და აბრამოვიჩი 18 წელიწადია, მეგობრები ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენს შორის პირდაპირი პარალელის გავლება შეიძლება. ჩვენ სულ სხვადასხვა რამეს ვაკეთებთ“.

და ბოლოს, იყიდის თუ არა უსმანოვი „არსენალის“ საკონტროლო პაკეტს ოდესმე?

„დღეს ამას არ ვაპირებ — უპასუხა ოლიგარქმა — მომავალში კი.. იქნებ ერთი ან ათი წლის შემდეგ დღევანდელ დირექტორატთან საერთო ენა გამოვნახო და კლუბის საკონტროლო პაკეტი მართლა ვიყიდო. ეს ბიზნესია, ბიზნესში კი ხანდახან არის ისეთი რამ, რასაც დღეს ვერ გააკეთებ, ხვალ კი გამოგივა. ზოგადად კი, „არსენალის“ დირექტორატის დღევანდელ შემადგენლობასთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობთ“.

ხოლო პიტერ ჰილ-ვუდზე ალიშერ ბურხანოვიჩი ასე ამბობს: „მე მას პატივს ვცემ და მისგანაც ამას მოვითხოვ“.

რაშია საქმე? რა და, თავიდან, უსმანოვის ამბავი რომ გაიგო, ჰილვუდმა თქვა, ეგ ბნელი კაცია, ნაჯდომიაო.

„რას ამბობთ, ჩემი მშობლები კარგი ხალხი იყო. ისინი ბნელ კაცს ვერ აღზრდიდნენ“ — იხუმრა ბოლოს უსმანოვმა.

**ბაჰუნა ძიდია**

# ბუნტი ჩელსიში

## გრანტს საშობაოდ გამოჰყოფენ


ავრაამ გრანტი

- **ავრაამ გრანტი** საკუთარი ფეხბურთელების საქილიკოდ ქცეულაო, წერენ ინგლისში „ჩელსის“ ახალ მწვრთნელზე და დასძენენ, რომ „ლურჯები“ მისი წინამძღოლობით თამაშს ახალი წლის შემდეგ აღარ მოითმენენ. ლონდონურ კლუბში მძვინვარე კრიზისზე ისიც მეტყველებს, რომ საყოველთაოდ პატივცემულმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა სტივ კლარკმა ორ კვირაში სამსახურიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა.

მძიმე სურათი იყო შაბათს მოედნაზეც, სადაც „ჩელსი“ „ფულემს“ ეთამაშა. შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, დიდიე დროგბა გააძევეს, ჯონ ტერის ყბა დაემსხვრა, ხოლო ქომაგებმა ტრიბუნიდან თავიანთ კერპებს სულ „ბუუუ“ ეძახეს.

„ფულემთან“ 0:0 ლონდონელთა ზედიზედ მეოთხე ვერმოგებული თამაში გახლდათ და ზემოხსენებულ კლარკსაც, როგორც გაირკვა, ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორების ილუზია სწორედ იქ გაეფანტა. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, გრანტის მხრებზე დიდ სიმძიმედ ჩამოწვება, მით უფრო, რომ ფეხბურთელებმა არ დამალეს, ჩვენს ახალ მწვრთნელს ისეთი ვარჯიშები აქვს, დიდი-დიდი, სამოყვარულო გუნდში რომ გამოდგებაო.

„მაურინიუს ხელმძღვანელობით ვარჯიშები საინტერესო და მრავალმხრივი იყო — თქვა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა, რომელმაც კლუბის რუსი მეპატრონის რომან აბრამოვიჩის შიშით ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა — მაგრამ, რაც ის წავიდა, „ჩელსი“ სამოყვარულო გუნდს დაემსგავსა. თქვენ წარმოიდგინეთ, იქამდე მივედით, რომ გასულ კვირაში მოედანზე დალაგებული კონუსების გარშემო დრიბლინგიც კი გვაკადრეს. ზოგმა ფეხბურთელმა თქვა, ჩემთვის ასეთი რამ 14 წლიდან აღარავის უთხოვიაო. მოკლედ, ავრაამის მწვრთნელობა გამორიცხულია, ის ახალ წელს მაინც უნდა წავიდეს, იმიტომ, რომ ფეხბურთელები მას აბსოლუტურად ვერ იღებენ“.

ამბობენ, რომ საკუთრივ კლუბში უკმაყოფილების ხმამაღლა გამოხატვას დიდიე დროგბა ბედავს.

**ბაჰუნა ძიდია**

# რატომ მრავლდებიან ეს უზრდელები?!

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი ბრაიან ბერვიკი ფეხბურთელების ქცევის გამოსწორებას აპირებს და საამისოდ კონკრეტული გეგმაც აქვს შემუშავებული. გეგმა ასეთია: საბრალო მსაჯებს ყოველი კონკრეტული ეპიზოდის შემდეგ მოყაყანეთა მთელი ჯგუფი რომ არ შემოეხვიოს, მათთან ლაპარაკის უფლება მხოლოდ კაპიტნებს უნდა ჰქონდეთ.

ეს წესი დანერგილი გახლავთ როგორც კლასიკურ, ასევე ცამეტკაცა რაგბიში, მაგრამ როგორ შედეგს მოიტანს მისი ფეხბურთში გადმოტანა?

ბერვიკი ფიქრობს, რომ თანამედროვე ფეხბურთში დაგროვილ პრობლემებთან ბრძოლა თავიდან უმარტივეს დონეზეა საჭირო. ყველაფერს ინსტინქტების დონეზე უნდა მოევლოს. მაგალითად, თუ მსაჯების შეურაცხყოფისთვის ამ უკანასკნელთ თამაშიდან წასვლის ნებას დავრთავთ, გუნდები შეფუცხუნდებიან და უფრო მოკრძალებით მოიქცევიან, რადგან მსაჯის გარეშე თამაში გამორიცხულია. თვით ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სტივ მაკლარენი ამბობს, რომ მისი ფეხბურთელობის ჟამთან შედარებით ქცევა მოედანზე მნიშვნელოვნად გაუარესებულია.

ძალიან მნიშვნელოვანია პატარა ფეხბურთელების მშობლებთან მუშაობაც — ზოგი მათგანი ინგლისშიც კი ისე საზიზღრად იქცევა, რომ მაკლარენი ბიჭუნების კლუბის პრეზიდენტობიდან გადადგა.

**ბაჰუნა ძიდია**



ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
### ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

# ცალი ფეხი გარეთ, ცალი ფეხი შიგნით

**E ჯგუფი**

**ლიონი 0:3 რეინჯერსი**

0:1 მაკალოხი (23), 0:2 კუზენი (48), 0:3 ბისლი (53)

**ლიონი:** ვერკუტრი, ბოდმერი (ბენ არფა 60), კალსტრიომი, ანდერსონი, სკილაჩი, ბაროში (კეიტა 60), ჟუნინიო, გროსო, რევეილიერი (კლერი 81), გოვუ, ბენზემა

**მწვრთნელი:** ალენ პერენი

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, ჰატონი, ვეირი, პაპაჩი, ფერგიუსონი, ჰემდანი, ტომსონი, ბისლი (ადამი 90), კუელიარი, მაკალოხი (ნოვო 81), კუზენი (უიტაკერი 66)

**მწვრთნელი:** უოლტერ სმიტი

**გაფრთხილება:** სკილაჩი, ვეირი, რევეილიერი, ფერგიუსონი, ტომსონი

**მსაჯი:** ოვრებო (ნორვეგია)

38 076 მაყურებელი

**სექტემბერში** შოტლანდიის ნაკრებმა საფრანგეთს სტუმრად მოუგო, გუშინწინ კი გლაზგოს „რეინჯერსმა“ „ლიონს“, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ბოლო 20 საშინაო მატჩში მეორედ წააგო. ამ ზაფხულს „უიგანიდან“ ნაყიდმა ლი მაკალოხმა ლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა, თითო-თითო კი დანიელ კუზენმა და დამარკუს ბისლიმ მიითვალეს. „ჩაფრებისთვის“ ეს ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად პირველი გამარჯვება იყო ბოლო 10 მატჩში.



„ფანტასტიკური შედეგია — ხარბდა „რეინჯერსის“ მწვრთნელი უოლტერ სმიტი — ამას ალბათ არავინ ელოდა. ორმა გოლმა თამაში მოკლა. ადრეც გვქონია ასეთი დასამახსოვრებელი მატჩები, მაგრამ ეს განსაკუთრებულია. შოტლანდიამაც მოუგო საფრანგეთს, თუმც მე არ მსურს ამ ორი შეხვედრის შედარება. ახლა გამოცდა „ბარსელონასთან“ გველის, რომელსაც საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს.“

„ლიონის“ ლიდერმა ჟუნინიომ, რომელიც წლეულს ველარ ბრწყინავს, განაცხადა: „ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაგვიჭირდება, ალბათ მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებთ. ორ მატჩში ექვსი გოლი გავუშვით და ერთიც ვერ გავიტანეთ.“

დამარკუს ბისლიმ კუთხური ჩააწოდა, მაკალოხმა კი თავით ანგარიში გახსნა. დანიელ კუზენმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან შორ კუთხეში გაიტანა, ხოლო ბისლიმ კუზენის პასით მესამე გოლი შეაგდო, როცა მის წინ მცველი და მეკარელა დარჩნენ. ჟუნინიომ და ანდერსონმა ორჯერ გაარტყეს ბურთი „რეინჯერსის“ კარის ძელს, გულნატკენი ქომაგები კი მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე სკამებიდან აიშალნენ.

**შტუტგარტი 0:2 ბარსელონა**

0:1 პუიოლი (53), 0:2 მესი (67)

**შტუტგარტი:** შეფერი, ოსორიო (მარიკა 63), ტაშჩი, მეირა, მარნერუდი (მაისნერი 76), პარდო, ბოკა, კაკაუ, ჰილბერტი, ხედირა (მანინი 76), გომესი

**მწვრთნელი:** არმინ ფეე

**ბარსელონა:** ვალდესი, მარკესი (პუიოლი 7; სილვინიო 64), ხავი, ინიესტა, რონალდინიო (კრკიჩი 82), ტურამი, აბიდალი, ოლეგერი, დეკუ, ანრი, მესი

**მწვრთნელი:** ფრანკ რაიკარდი

**გაფრთხილება:** მესი

**მსაჯი:** ჰანსონი (შვედეთი)

51 300 მაყურებელი

პატარა არგენტინელმა ლიონელ მესიმ განაცხადა, რომ ამ მოგებით მერვედფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგეს.

„შტუტგარტის“ პირველ ტაიმში ოთხი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ვიქტორ ვალდესი ყოჩაღად იდგა. შესვენების შემდეგ კარლეს პუიოლმა ნაკუთხურალზე იხეირა — მეკარის მოგერიებულ ბურთს სამი მეტრიდან დაამატა და ანგარიში გახსნა, რასაც ანრი-მესის კომბინაცია და მეორე გოლი მოჰყვა.

„ამ სეზონში ეს ყველაზე რთული მატჩი იყო — თქვა არგენტინელმა — ორივე გუნდმა შექმნა მომენტები, მაგრამ ჩვენ უფრო გაგვიმართლა.“

მარიო გომესმა, ვისაც ვალდესმა ზედიზედ დარტყმულები აუღო, დაიჩივლა: „ნული ქულა და 0:2 მარცხი, არადა, ყველამ ნახა, რომ პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ. მსგავსი რამ ამ სეზონში არაერთხელ დაგვემართა. ვუტევთ, მაგრამ გოლს ვუშვებთ და მერე უკვე ველარაფერს ვახერხებთ.“

„ჯგუფიდან გასვლა რთული იქნება — ბრძანა მასპინძელთა მწვრთნელმა არმინ ფეემ — „ბარსელონა“ დიდებული გუნდია, მაგრამ ჩვენ ბევრი პრობლემა შევუქმენით. ამიტომ ასეთ გუნდთან 0:2 წაგება ძალიან გულდასაწყვეტი არაა.“

ფრანკ რაიკაარდი: „შესვენებამდე ცუდად ვითამაშეთ და უკმაყოფილო ვიყავი. ვალდესმა რამდენჯერმე გვიხსნა. „რეინჯერსთან“ მომდევნო ტურში მეტი მონდომება და დისციპლინა დაგვჭირდება.“

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ლიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

# ნაცნობი მელოდია: კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ

**F ჯგუფი**

**მანჩესტერი 1:0 რომა**

1:0 რუნი (70)

**მანჩესტერი:** კუშჩაკი, ევრა, ფერდინანდი, ოში, ვიდიჩი, კარიკი, ნანი (გიგზი 80), რონალდუ, საა (ტევესი 66), სქოულზი, რუნი (ანდერსონი 85)

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**რომა:** კურჩი, სისინიო, ჟუანი, მექსეში, აკუილანი (დ. პიზარო 62), ჟიული (ესპოზიტო 80), დე როსი, პეროტა, ტონეტო, მანსინი (ვუჩინიჩი 74), ტოტი

**მწვრთნელი:** ლუჩანო სპალეტი

**გაფრთხილება:** მექსეში

**მსაჯი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

73 652 მაყურებელი

**გასულ** უქმეებზე, „ინტერთან“ საშინაო 1:4-ის მერე ფსიქოლოგიურად გატეხილმა „რომამ“ წინა სეზონში „ოლდ ტრაფორდზე“ წაგებული 1:7-ისთვის შური ვერ იძია. „გლადიატორებმა“ კარგად ითამაშეს, მაგრამ ფრესაც ვერ გამორჩნენ.

შეხვედრის ბედი უეინ რუნიმ გადაწყვიტა, მისი ძალიან ზუსტი, დაბალი დარტყმის მერე ბურთი ძელს მოხვდა და კარში შეგორდა. რუნის ასისტენტობა ნანიმ გაუწია, ვინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებს სამი მშვენიერი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ორჯერ სიმონე პეროტამ და ერთხელ მაურო ესპოზიტომ კარგი პოზიციებიდან ვერ იხეირეს. „რომას“ რიგებში საუკეთესო გუნდის კაპიტანი და ლიდერი ფრანჩესკო ტოტი გახლდათ, მაგრამ მისმა მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო.

აღვნიშნოთ, რომ მატჩი ორივე გუნდმა ძირითადი მეკარეების გარეშე ჩაატარა — ედვინ ვან დერ სარიც და ალეშანდრე დონიც დაშავებულნი არიან. მეკარის გარდა, „რომას“ როდრიგო ტადეი, მარკო კასეტი და კრისტიან პანუჩიც აკლდნენ.

„წითელი ეშმაკების“ მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა განსაკუთრებით სიმონე პეროტა აქო. სხვათა შორის, პეროტა მანჩესტერთან ახლოს, პატარა სოფელშია დაბადებული, სადაც 6 წლამდე ცხოვრობდა.

„პეროტას ბრწყინვალე პასი აქვს, ტექნიკური და ძლიერია. სირბილით კი იმდენს და ისე სწრაფად დარბის, რომ ლონდონი-მანჩესტერის მატარებელსაც შეშურდება. რა თქმა უნდა, ტოტი „რომას“ მეფე და გენერალია, მაგრამ მას გარშემო ასევე ჩინებული ფეხბურთელები ჰყავს. რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ტაიმი ძალიან დაძაბული გამოდგა. მეორე ნახევარში ცოტა მოვუმატეთ, თუმცა შანსები „რომასაც“ ჰქონდა. სტუმრებმა ბოლო 15 წუთი მართლაც კარგად ჩაატარეს, მაგრამ მთლიანობაში ჩვენ უკეთ გამოვიყურებოდით“ — თქვა ფერგიუსონმა.

უეინ რუნი: „ვფიქრობ, „რომამ“ ძალიან კარგად ითამაშა და ვიცოდით, რთული მატჩი გველოდა. სამართლიანი შედეგი ალბათ ფრე იქნებოდა, მაგრამ მოგება შევძელით, რაც კარგია. ახლა „რომას“ წინააღმდეგ სამი მატჩი მაქვს ჩატარებული და სამი გოლი გატანილი.“

„კარგად ვითამაშეთ, საგოლე მომენტებიც მრავლად გვქონდა, მაგრამ მათი ვერგამოყენება ძვირად დაგვიჯდა. თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით — არა, წაგებას არ ვიმსახურებდით. მაიკლ კარიკმა აშკარად წააქცია მანსინი და პენალტი უდავო იყო, მაგრამ... მიხარია, რომ გაშვებულმა გოლმა არ გაგვტეხა, ხასიათი გამოვავლინეთ და ბოლომდე ვიბრძოლეთ. ლისაბონის „სპორტინგთან“ მომავალი ორი მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება“ — აღნიშნა „გლადიატორთა“ თავკაცმა ლუჩანო სპალეტიმ.

„რომას“ ნახევარმცველი ამანტინო მანსინი: „კარიკმა ნამდვილად წამაქცია და სამწუხაროა, რომ პენალტი არ დაინიშნა. პირველ ტაიმშიც ტყუილი ოფსაიდი დაფიქსირდა, მცველებზე აშკარად ერთიორი მეტრით უკან ვიყავი. საერთოდ, მსაჯებზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მათ შეცდომები დაუშვეს. რას იზამ, ფეხბურთში ასეთი რალაცები ხდება. მთავარია, დავამტკიცეთ, რომ ჩინებული გუნდი გვყავს და „მანჩესტერზე“ მეტი მომენტიც გვქონდა, მაგრამ საუკეთესო ყოველთვის ვერ იგებს.“



წარბგახეთქილი კრიშტიანუ რონალდუ

**დინამო 1:2 სპორტინგი**

0:1 ტონელი (14), 1:1 ვაშჩუკი (28), 1:2 პოლგა (38)

**დინამო:** შოვკოვსკი, გიოანე (გუსევი 56), კორეა, რინკონი, გავრანჩიჩი, ელკადური, ვაშჩუკი, იუსუფი, მიხალიკი, შაცკიხი, მილევსკი (კლებერი 58)

**მწვრთნელი:** იოჟეფ საბო

**სპორტინგი:** სტოიკოვიჩი, პოლგა, რონი, ვუკჩევიჩი (იზმაილოვი 68), ტონელი, ჟალო (გლედსტოუნი 90), მიგელი, მუტინიუ, რომანოლი (პარედესი 77), ლიდსონი, აბელი

**მწვრთნელი:** პაულუ ბენტუ

**გაფრთხილება:** პოლგა, კორეა, მიხალიკი, ვუკჩევიჩი, კლებერი

**მსაჯი:** ლაიეკი (საფრანგეთი)

36 950 მაყურებელი

იოჟეფ საბომ კიევის „დინამოს“ ხელი ვერ დაატყო. უკრაინელები შინ „სპორტინგთან“ დამარცხდნენ. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. სტუმრები ტონელმა დააწინაურა, ვინც დამატებაზე ივარგა. კარგი კომბინაციის შემდეგ ვლადისლავ ვაშჩუკმა ანგარიში გაათანაბრა. ათ წუთში კი ალექსანდრ შოვკოვსკიმ ბურთი არცთუ კარგად მოიგერია და ანდერსონ პოლგამ წერტილი დასვა...

„თუ ასეთ მატჩშიც ვერ ვიგებთ, არ ვიცი, საერთოდ, რა გველის. მომენტები ვერ გამოვიყენეთ, დაცვაში კი სულელური შეცდომები დავუშვით. ისლა დაგვრჩენია, შეცდომების გამოსწორებაზე ვიმუშავოთ“ — თქვა საბომ.

„სპორტინგის“ მწვრთნელი პაულუ ბენტუ: „ეს მნიშვნელოვანი მოგება იყო. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ, ასევე ბიჭების თავდადებით. შესაძლოა, ბრწყინვალედ არ გვითამაშია, მაგრამ, ვფიქრობ, დამსახურებულად მოვიგეთ, მიუხედავად იმისა, რომ „დინამომ“ გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| რომა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დინამო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

# არ ვარ, მე ის კაცი!

**G ჯგუფი**

**ინტერი 2:0 პსვ ეინდჰოვენი**

1:0, 2:0 იბრაჰიმოვიჩი (153, 31)
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, ხ. ძანეტი, სამუელი, კივუ, მაქსველი, ფიგუ, კამბიასო, სტანკოვიჩი, სოლარი (ბოლცონი 70), იბრაჰიმოვიჩი, კრესპო (სუაზო 62)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
**პსვ ეინდჰოვენი:** გომესი, სალსიდო, ადო, კრომკამპი (ბაკალი 69), ალსიდესი, კულინა, პერესი, სიმენსი, მენდესი (კოვერმანსი 56), ფარფანი (აისატი 75), ლაზოვიჩი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: ლაზოვიჩი, კივუ, სამუელი, კულინა
გაძევება: კივუ (65)
მსაჯი: ვასარასი (საბერძნეთი)
40 000 მაყურებელი

**მატჩის** შემდეგ დავიდ სუაზომ წითელი ბარათი მიიღო, მაგრამ ჰონდურასელი ფორვარდი, რომელიც შეცვლაზე შევიდა, ამტკიცებს, რომ უდანაშაულოა. თამაშის დამთავრებისთანავე მეოთხე მსაჯმა მთავარ არბიტრს უთხრა, სუაზომ სალსიდოს იდაყვი ჩაარტყაო, რის გამოც კიროს ვასარასმა ბარათი იშიშვლა.

„უდანაშაულო ვარ — თქვა ჰონდურასელმა — მსაჯის გადაწყვეტილებით გაოცებული დავრჩი — უკან-უკან მივდიოდი, როცა მე და სალსიდო ერთმანეთს შემთხვევით დავეჯახეთ. არ ვარ ის კაცი, რომელიც ასეთ რამეს იკადრებს და ამას, ალბათ, ფირზეც ნახავენ“.

„ინტერი“ კი ეპიზოდის გარჩევას მოითხოვს, რადგან ისედაც ბევრი დისკვალიფიცირებულ-ტრავმირებულის გამო მომდევნო მატჩში გაუჭირდება. 65-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო კრისტიან კივუმ და ცსკა-სთან შეხვედრას გამოტოვებს.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი მე-15 წუთზე იან კრომკამპმა წააქცია საჯარიმოში და შვედმა თვითონ შეასრულა პენალტი, ცოტა ხნის მერე კი საუცხოო გოლი გაიტანა. მარჯვნიდან ფიგუს ჩაწოდებულს თავი დაარტყა და მახვილი კუთხიდან ბურთი თავზე გადაავლო მეკარე გომესს. იბრაჰიმოვიჩს, რომელიც გუშინ 26-ის შესრულდა, 2005-ის დეკემბრის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში არ გაუტანია.

„ზლატანი ჩემპიონი და ყველასგან განსხვავებული ფორვარდია. როცა ის საუკეთესო ფორმაშია და ხასიათზეა, მთელი გუნდი კარგად თამაშობს“ — თქვა რობერტო მანჩინიმ, რომელმაც დავიდ სუაზოც დაიცვა: „მეოთხე მსაჯს რაღაც შეეშალა. დავიდი უხეში არ არის და არა მგონია, იდაყვი ჩაერტყას. ფეხბურთელები ერთმანეთს შეეჯახნენ და სულ ეს იყო.“



ზლატან იბრაჰიმოვიჩის პენალტი

AFP

**ცსკა 2:2 ფენერბაჰჩე**

0:1 ალექსი (9), 1:1 კრასიჩი (49), 2:1 ვაგნერ ლავი (533), 2:2 დეივიდი (85)
**ცსკა:** მანდრიკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, კრასიჩი, შემბერასი, რახიმიჩი, დუდუ (ალდონინი 90), ჟირკოვი, ჟო, ვაგნერ ლავი
მწვრთნელი: ვალერი გაზაევი
**ფენერბაჰჩე:** დემირელი, ლუგანო (გიოქტანი 77), ედუ (იასინი 71), ტურაჩი, რობერტო კარლოსი, ბარიში (კაზიმი 71), აურელიო, ალექსი, ვედერსონი, დეივიდი, კეჟმანი
მწვრთნელი: ზიკო
გაფრთხილება: ედუ, ლუგანო, კრასიჩი, ჟირკოვი
მსაჯი: კირხერი (გერმანია)
30 000 მაყურებელი

ბრაზილიელმა დეივიდმა, ვისი გოლითაც პირველ ტურში „ინტერს“ მოუგეს, „ფენერს“ ქულა მოუტანა და ჯგუფში გაალიდერა. სტამბოლელები პირველ ტაიმში უკეთ თამაშობდნენ და დაწინაურდნენ კიდეც. ბერეზუცკის მოგერიებულ ბურთს სტუმართა კაპიტან ალექსის თავი დახვდა და მეკარის ზურგს უკან ჩაეშვა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები თითქოს გამოცვალეს — ცსკა-მ ძალიან მოინდომა და ოთხ წუთში ორი გოლი გაიტანა. მილოშ კრასიჩი ვოლკან დემირელთან პირისპირ გავიდა და გაათანაბრა, ხოლო ვაგნერ ლავმა პენალტით მალევე წინ გაიყვანა გუნდი.

ზიკომ ცოტა ხანს უყურა და სამი ცვლილება გააკეთა, რასაც კვლავ მოჰყვა „ფენერის“ გააქტიურება. თამაშის დასასრულამდე ხუთი წუთით ადრე დეივიდმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა, ბურთი მეკარის წინ დაეცა და ბადეში შეხტა.

„ჩვენ მარტივ სიტუაციებში ბევრჯერ შევცდით და ამის გამო დავისაჯეთ“ — თქვა ვალერი გაზაევმა, ხოლო ზიკომ განაცხადა: „პირველი გოლი იღბლის დახმარებით გავიტანეთ, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ფრეს ვიმსახურებდით“. —

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ინტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| პსვ ეინდჰოვენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ცსკა | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |

# ამ ჯგუფში თოფის ხმაა

**H ჯგუფი**

**სევილია 4:2 სლავია**

1:0 კანუტე (8,) 1:1 პუდილი (19), 2:1 ლუის ფაბიანო (27), 3:1 ესკუდე (58), 4:1 კონე (69), 4:2 კალივოდა (90)
**სევილია:** პალოპი, დ. ალვეში, ბულარუზი, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ს. კეიტა, ხესუს ნავასი (დუდა 75), პოულსენი, ადრიანუ (შინკელი 81), ლუის ფაბიანო (ა. კონე 64), კანუტე
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
**სლავია:** ვანიაკი, გუბაჩეკი, შვეცი, ვლჩეკი, იანდა (კალივოდა 63), დრიჟდალი (ივანა 46), შოურეკი, პუდილი, სუხი, კრაიჩიკი, ბელაიდი (ვოლეშაკი 70)
მწვრთნელი: კარელ იაროლიმი
გაფრთხილება: შოურეკი, ვოლეშაკი
მსაჯი: ბასკაკოვი (რუსეთი)
30 000 მაყურებელი

**ლიგის** დებიუტანტების დუელი ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა, რომლებსაც ორკვირიანი კრიზისი ჰქონდათ და გონზე მოვიდნენ.

მეკარესთან პირისპირ გასულმა ფრედერიკ კანუტემ მახვილი კუთხიდან დაარტყა და ანგარიში გახსნა, მაგრამ დარტყმა ის იყო, სლავიელმა დანიელ პუდილმა რომ შეასრულა. დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან დასცხო დაგორებულ ბურთს და ცხრიანში შეაბრძანა.

სტუმრების სიხარული ხანმოკლე გამოდგა, რადგან ლუის ფაბიანომ მალე ისევ დააწინაურა მასპინძლები.

მეორე ტაიმში ჟულიენ ესკუდემ სხვაობა ორამდე გაზარდა — თავით გაიტანა, ხოლო შეცვლაზე შესულ არუნა კონეს მეოთხის შეგდება არ გასჭირვებია, რადგან მარტინ ვანიაკთან პირისპირ დარჩა.

„სლავიამ“ იბრძოლა და ბოლო წუთზე მეორე გოლი გაიტანა — პალოპის მოგერიებული ბურთი დავიდ კალივოდამ მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგორა.

**სტიაუა 0:1 არსენალი**

0:1 ვან პერსი (76)
**სტიაუა:** ზაპატა, რადა, პეტრე, ბადეა (იაკობი 60), დიკუ, ემეგარა, ნიკოლიცე, ბაჩუ, მარინი, ნიაგა (ზახარია 77), სურდუ (ბადოი 84)
მწვრთნელი: მასიმო პედრაძინი
**არსენალი:** ალმუნია, სანია, კ. ტურე, სენდეროსი, ებუ (ჟილბერტო სილვა 73), ფაბრეგასი, გლები, ფლამინი, კლიში, ვან პერსი, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ადებაიორი, მარინი, რადა
მსაჯი: ჰაუგე (ნორვეგია)
14 000 მაყურებელი

„სტიაუას“ ახალმა მწვრთნელმა მასიმო პედრაძინიმ სალიგო დებიუტი მარცხით დააჭაშნიკა, არადა, მისმა გუნდმა „არსენალს“ ტოლი არ დაუდო და მეტოქეზე არანაკლები საგოლე მომენტები ჰქონდა. „არსენალის“ წაუგებელი სერია კი თორმეტ მატჩამდე გაიზარდა.

შეხვედრის დასაწყისშივე ვალენტინ ბადეას მართებდა გატანა, მაგრამ ახლოდან ააცილა, მეშვიდე წუთზე კი რომეო სურდუმ თავით შეაგდო, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩათვალა. მალევე გაელ კლიშის დარტყმული მცველს მოხვდა და კინაღამ შევარდა დაბნეული რობინსონ ზაპატას კარში. ამის მერე კი „არსენალი“ კოლო ტურემ იხსნა. მანუელ ალმუნია საჯარიმოს გარეთ გავიდა და თავით მოიგერია ბურთი, რომელიც ნიკოლაე დიკამ ცარიელ კარში გაგზავნა, მაგრამ კარის ხაზთან კოლო ტურეს თავი დახვდა.

71-ე წუთზე „სტიაუას“ დაწინაურება შეეძლო. „მეთოფეთა“ მცველები ვიქტორ იაკობმა ხელოვნური თამაშგარეს შექმნისას გამოიჭირა, პირისპირ გავიდა ალმუნიასთან და ააცილა. აქედან ხუთ წუთში კი რობინ ვან პერსიმ ათიოდ მეტრიდან ცაცხით გაუტანა ზაპატას — ადებაიორის დაგორებულ ბურთს ლონივრად დაჰკრა.

„მეთოფეებმა“ გასულ უქმეებზე „ვესტ ჰემსაც“ ვან პერსის გოლით მოუგეს, „სტიაუასთვის“ კი ეს იყო ინგლისურ კლუბთან პირველი საშინაო მარცხი.




არსენალელმა მეტიუ ფლამინიმ ოვიდიუ პეტრე კინაღამ გადათელა

AFP

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| სლავია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| სტიაუა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA CUP უეფას თასი 2006-07

# სად არის ხალხი?

**მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები**

ჰამბურგი (გერმანია) — ლიტექსი (ბულგარეთი) (1:0)
კოპენჰაგენი (დანია) — ლანსი (საფრანგეთი) (1:1)
ოდენსე (დანია) — სპარტა (ჩეხეთი) (0:0)
ციურიხი (შვეიცარია) — ემპოლი (იტალია) (1:2)
პანიონიოსი (საბერძნეთი) — სოშო (საფრანგეთი) (2:0)
რაპიდი (ავსტრია) — ანდერლეხტი (ბელგია) (1:1)
ალკმაარი (ჰოლანდია) — ფერეირა (პორტუგალია) (1:0)
სტანდარდი (ბელგია) — ზენიტი (რუსეთი) (0:3)
ლეირია (პორტუგალია) — ლევერკუზენი (გერმანია) (1:3)
ბატე (ბელარუსი) — ვილიარეალი (ესპანეთი) (1:4)
გალათასარაი (თურქეთი) — სიონი (შვეიცარია) (2:3)
ერჟიესი (თურქეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) (0:4)
ბორდო (საფრანგეთი) — ტამპერე (ფინეთი) (3:2)
ტვენტე (ჰოლანდია) — ხეტაფე (ესპანეთი) (0:1)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — გროცლინი (პოლონეთი) (1:0)
ლოკომოტივი (რუსეთი) — მიდტიულანდი (დანია) (3:1)
ფიორენტინა (იტალია) — გრონინგენი (ჰოლანდია) (1:1)
ბოლტონი (ინგლისი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია) (1:1)
ზალცბურგი (ავსტრია) — აეკ (საბერძნეთი) (0:3)
რაპიდი (რუმინეთი) — ნიურნბერგი (გერმანია) (0:0)
მეტალისტი (უკრაინა) — ევერტონი (ინგლისი) (1:1)
ანართოსისი (კვიპროსი) — ტოტენჰემი (ინგლისი) (1:6)
ბაზელი (შვეიცარია) — სარაევო (ბოსნია) (2:1)
ვოლერენგა (ნორვეგია) — აუსტრია (ავსტრია) (0:2)
აიკ (შვედეთი) — ჰ. თელ ავივი (ისრაელი) (0:0)
სარაგოსა (ესპანეთი) — არისი (საბერძნეთი) (0:1)
ელფსბორგი (შვედეთი) — დინამო (რუმინეთი) (2:1)
რენი (საფრანგეთი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) (3:1)
ბრიუგე (ბელგია) — ბრანი (ნორვეგია) (1:0)
ბელენენსეში (პორტუგალია) — ბაიერნი (გერმანია) (0:1)
დნიპრო (უკრაინა) — აბერდინი (შოტლანდია) (0:0)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ჰერენვენი (ჰოლანდია) (3:5)
ცსკა (ბულგარეთი) — ტულუზი (საფრანგეთი) (0:0)
ოლბორგი (დანია) — სამპდორია (იტალია) (2:2)
ჰეკენი (შვედეთი) — სპარტაკი (რუსეთი) (0:5)
ბრაგა (პორტუგალია) — ჰამარბი (შვედეთი) (1:2)
ბლექბერნი (ინგლისი) — ლარისა (საბერძნეთი) (0:2)
პალერმო (იტალია) — ბოლესლავი (ჩეხეთი) (1:0)
აიაქსი (ჰოლანდია) — დინამო (ხორვატია) (1:0)


„ბრიუგე" ალბათ ჯგუფში მოხვდება

AFP

**ბუნდესლიგის** ლიდერს და ჯერჯერობით დაუმარცხებელ „ბაიერნს" „ბელენენსეშთან" ოლივერ კანი და მიროსლავ კლოზე ვერ დაეხმარებიან.

„ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია გუნდისთვის, მოედანზეც და მის მიღმაც" — თქვა ფრანკ რიბერიმ.

ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა, რომ მარკ ვან ბომელი და ბასტიან შვაინშტაიგერიც დაშავებულები არიან და მათი თამაში საეჭვოა.

კანმა „ლევერკუზენთან" მატჩის წინ იდაყვი იტკინა და საოპერაციოდ აშშ-ში წავიდა, ხოლო კლოზეს ფეხის ტრავმის გამო სამი კვირა დასვენება მოუწევს.

„თუ ვან ბომელი ვერ გამოკეთდა, მის ადგილს ანდრეას ოტლი დაიკავებს" — თქვა მწვრთნელმა.

კლოზეს მაგივრად იან შლაუდრაფი ან ლუკაშ პოდოლსკი ითამაშებს, ოლივერ კანს კი მიხაელ რენსინგი შეცვლის, ვინაც „ლევერკუზენთან" იყოჩაღა. „ბელენენსეშთან", შესაძლოა, ახალგაზრდა სანდრო ვაგნერი და ტონი კროოსიც გამოჩნდნენ.

მეორე გერმანულ გუნდ „ლევერკუზენს", რომელმაც ასევე პორტუგალიაში „ლეირიასთან" სათამაშოდ გაემგზავრა, ფორვარდი თეოფანის გეკასი დააკლდება, რომელმაც ამ სეზონში სამი გოლი გაიტანა. ტრავმირებულია ბერნდ შნაიდერიც, თუმც კაპიტანი სადღეისოდ ეგებ მომჯობინდეს.

„ლარისასთან" სტუმრად დამარცხებულ „ბლექბერნს" საპასუხო მატჩში ვერ დაეხმარება კაპიტანი რაიან ნილსენი, ვისაც ერთთვიანი მკურნალობა გამოუწერეს. ხოლო „ევერტონი" ხარკოვში „მეტალისტს" ჩააკითხავს, რომელსაც ორი კვირის წინ დაუზავდა (1:1), ენდი ჯონსონმა კი ორი პენალტი ვერ გაიტანა.

„ევერტონმა" წინა კვირაში ლიგის თასზეც მოიგო და პრემიერლიგაშიც, თან გოლი არ გაუშვია.

„ტოტენჰემმა" პირველივე მატჩში მოამთავრა საქმე „ანართოსისის" 6:1 დამარცხებით და კვიპროსზე ალბათ სასწაული არ მოხდება, ხოლო პრემიერლიგის აუტსაიდერი „ბოლტონი" მაკედონიურ „რაბოტნიჩკის" უმასპინძლებს, რომელსაც სტუმრად ვერ მოუგო.

**მაშა ხუციშვილი**

# ბურუსიანი დელ პიერო

## ვითომ მაინც შახტარი?

**ტურინის** „იუვენტუსის" კაპიტნის ალესანდრო დელ პიეროს მომავალს კიდევ უფრო ჩამოაწვა ბურუსი მას შემდეგ, რაც მისმა აგენტმა და ძმამ სტეფანომ „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობა გააკრიტიკა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან „ბიანკონერის" სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ განაცხადა, შესაძლოა, დელ პიერო დავკარგოთო. სტეფანოს სწორედ ეს არ მოეწონა.

„სეკოს ამ სიტყვებმა გამაკვირვა. სამწუხაროა, რომ შესაძლებელია, ამის შემდეგ მოლაპარაკებებში სერიოზული პრობლემები შეგვექმნას" — თქვა სტეფანო დელ პიერომ.

გავრცელებული ცნობით, დელ პიერო ახლა სეზონში დაახლოებით 5 მილიონ ევროს იღებს და იგი მზად არის, ხელფასის შემცირებაზე დათანხმდეს, თუ კლუბი სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, მაგრამ არც იმდენის მოკლება უნდა, რამდენსაც „იუვენტუსის" უფროსობა ვარაუდობს.

32 წლის დელ პიეროს თურმე ისიც სწყენია, რომ კლუბი მას იმაზე ნაკლებ ხელფასს სთავაზობს, ვიდრე პაველ ნედვედს უხდის ახალი კონტრაქტის თანახმად. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხი ნახევარმცველი ასაკით მასზე უფროსია.

მოგეხსენებთ, დელ პიეროს დონეცკის „შახტარი" ეპატიჟება.

**კოკი კანდელაკი**



# ბეწვის ხიდი

## ობინია სიკვდილს ძლივს გადაურჩა

**იტალიური** „კიევოს" ნიგერიელი ვარსკვლავი ვიქტორ ობინია სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა.

— მიუხედავად იმისა, რომ ნამიბიას მოვუგეთ და მსოფლიოს თასებზე ჩვენთვის პირველი და ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ, მე მაინც ირლანდიასთან თამაშს გამოვარჩევდი. ჩვენგან ალბათ ამას არავინ ელოდა. მეტოქე ბოლო ოცი წუთის მანძილზე საკუთარ ლელოში გამოვკეტეთ. თანაც მეტოქესაც ხომ გააჩნია? ბოლოს და ბოლოს ირლანდია გრანდია და ასეთ რალაცას ახალი ზელანდიაც ვერ უბედავს. ჩემი აზრით, ძალიან ახლოს ვიყავით უდიდეს სენსაციასთან, ერთი ლელოს გატანა დაგვაკლდა, არადა ესეც შეგვეძლო, მაგრამ მსაჯმა თავი გამოიდო, ერთხელაც არ დააჯარიმა ირლანდიელები. თუმც ამის საბაბი ათჯერ მაინც ჰქონდა. ბოლოსდაბოლოს რაგბიში არ არსებობს, მთელი ოცი წუთი ლელოსთან გყავდეს მიმყწვდეული მეტოქე და ის ერთხელაც არ დაჯარიმდეს.

**— მარტო მსაჯი იყო მიზეზი?**

— არა, ჩვენც არ გვეყო ფსიქოლოგიური მდგრადობა. ძალიან გვიან ვირწმუნეთ, რომ ირლანდიის დამარცხება შეგვეძლო. მატჩის წინ მოედანზე იმ განწყობით გავედით, მეტოქისთვის თავი შეგვეკლა, თანაც ამ მატჩს მეორე შემადგენლობით ვთამაშობდით და ჩვენი გვქონდა დასამტკიცებელი. პირველი ტაიმის შემდეგ მე პირადად დავიჯერე, რომ ირლანდიის დამარცხება შეგვეძლო, მაგრამ საამისოდ ყველა ერთად მზად არ აღმოჩნდით და როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, უკვე გვიანი იყო.

**— იქამდე არგენტინასთან, მერე კი საფრანგეთთან მატჩები იყო...**

— არგენტინას ბოლომდე ვეომეთ და ყველამ ნახეთ რა და როგორ იყო. საფრანგეთთან კი ის მუხტი აღარ გვეყო, რაც თასის დაწყებამდე გვქონდა. თანაც ბევრი ტრავმირებული გვყავდა და გადაღლილებიც ვიყავით. ამასთან ერთად საფრანგეთის კლასიც გავითვალისწინოთ, ვფიქრობ ყველაფერი ლოგიკური იყო.

**— ფრანგულმა პრესამ ძალიან გაქოთ. პირადად თუ ესაუბრეთ იქაურ ჟურნალისტებს?**

— საფრანგეთში ჩასვლის დღიდან ყურადღება არ მოგვკლებია, მაგრამ თავიდან რაგბიში ძალიან ჩაუხედავი ხალხის გარდა. არც იცოდნენ საიდან ვიყავით, ზოგს რუსები, ზოგსაც სომხები ვეგონეთ, საერთოდ საფრანგეთში სომხებს დიდი დიასპორა აქვთ. მერე ვუხსნიდით, რომ ჩვენ კავკასიიდან ვართ, ჩვენი ენა, სარწმუნოება და ქვეყანა გვაქვს. ირლანდიასთან და ნამიბიასთან მატჩების შემდეგ კი ყველი გამვლელი გვცნობდა და გვამხნევებდა. ერთს ვიტყვი, რაგბის წესია, რომ მატჩის შემდეგ ბანკეტი, ეგრეთ წოდებული „მესამე ტაიმი" იმართება ფრანგებმა ამ წესს რატომღაც უღალატეს და მათთან საუბრის საშუალება არ გვქონდა. არადა, ახალმა ზელანდიამ პორტუგალია რომ გაანადგურა, მერე ზელანდიელები მეტოქესთან მივიდნენ და კაცურად უთხრეს, ხვალ ფეხბურთი ვითამაშოთ, მერე ერთად მოვულხინოთო.

**— შენ პირადად რა მოქცა ამ მსოფლიოს თასმა?**

— გამოცდილება და საკუთარი თავის რწმენა. ღმერთმა ქნას, მომავალ მსოფლიოს თასზეც ვითამაშოთ, უკვე აღარ გავალ მოედანზე იმ განწყობით, რომ მატჩი წინასწარ წაგებულია. მენტალიტეტიც შემეცვალა, აწი ვიცი რომ ირლანდიასთან არა მარტო ღირსეული თამაში, მოგებაც შეიძლება.

**ბაჩო სვანიძე**

მეოთხედფინალი. 6 ოქტომბერი. 23.00. კარდიფი (უელსი)

საფრანგეთი — ახ. ზელანდია



# სტუმარ-მასპინძელი კარდიფში გაირკვევა

**შაბათს** კარდიფში მაგარი ჯახია. ამ მსოფლიოს თასის ნაადრევ ფინალად მონათლული მეოთხედფინალში ერთმანეთს თასის მასპინძელი საფრანგეთი და ლამის უძლეველი ახალი ზელანდია ეჯახებიან.

საფრანგეთის მასპინძლობა ამ შემთხვევაში ფორმალობაა, რაკი ტურნირის ორგანიზატორებს თავიდან ისე ჰქონდათ გათვლილი, რომ საფრანგეთი ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდა და ახალი ზელანდიას ფინალამდე არ შეხვდებოდა, ცხადია, თუ მეტოქეები იქამდე მივიდოდნენ, რაც სავსებით რეალური იყო. ყველაფერი თავდაყირა არგენტინამ დააყენა, რომელმაც თასის გახსნით მატჩში სენსაციურად მოუგო საფრანგეთს, პლეი ოფის იოლი გზა თავად დაიბევა, საფრანგეთი კი ახალი ზელანდიასთან გაუშვა. მთავარიც ეს არის. ორგანიზატორები და ტურნირის მასპინძლები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ მეოთხედფინალის ჩათვლით ახალი ზელანდია თავის მატჩებს უელსის მთავარქალაქ კარდიფში ითამაშებდა, რაკი არგენტინას „თავხედობას" არავინ ელოდა და არც ფრანგებს ადარდებდათ, სად ითამაშებდა „ოლ ბლექსი". ჰოდა, ზელანდიელმა ქომაგებმაც თადარიგი თავიდანვე დაიჭირეს და მეოთხედფინალის ჩათვლით თავიანთი გუნდის მატჩების ბილეთების 80 პროცენტი წუთებში შეისყიდეს. დარჩენილი ბილეთები კი „ოლ ბლექსის" მეტოქეთა ქომაგებმა და კარდიფელებმა იყიდეს. ახლა ფრანგებს სურთ თავიანთი გულშემატკივრებისთვის 5 ათასი ბილეთი მაინც გაშანსონ. რაც „შავ მებაზრეებს" არ გამოჰპარვიათ და 50 ევროიანი ბილეთები ათჯერ გააძვირეს.

ასეთ შავ დღეშია ახლა საფრანგეთი, რომელსაც შაბათს ან ტრიუმფი ელის, ან სრული კრახი. მეტოქეები კი უკვე ჩავიდნენ კარდიფში და იქ გაშალეს ბანაკები. ერთი მნიშვნელოვანი ამბავიც. რაგბის საერთაშორისო საბჭო მეტოქეებს ავალდებულებს, 48 საათით ადრე გამოაქვეყნონ სასტარტო განაცხადები, საფრანგეთის და ახალი ზელანდიის მწვრთნელებმა ბერნარ ლაპორტმა და გრემ ჰენრიმ არ დაუცადეს ღდლაინის ამოწურვას და საბრძოლო რაზმები უკვე დაასახელეს.

**ბაჩო სვანიძე**

| საფრანგეთი | | ახალი ზელანდია |
|---|---|---|
| დამიენ ტრაი | 15 | ლეონ მაკდონალდი |
| ვინსენ კლერკი | 14 | ჯო როკოსოკო |
| დავიდ მარტი | 13 | მაილს მულიაინა |
| იანიკ ჟოზიონი | 12 | ლუკ მაკალისტერი |
| სედრიკ ჰეიმანი | 11 | სიტივენი სივივატუ |
| ლიონელ ბოგზი | 10 | დენ კარტერი |
| ჟან-ბატის ელისალდე | 9 | ბაირონ კელეჰერი |
| ჟულიენ ბონარი | 8 | როდნი სოოიალო |
| ტიერი დუზატური | 7 | რიჩი მაკქოუ (კაპ) |
| სერჟ ბესენი | 6 | ჯერი კოლინსი |
| ჟერომ ტიონი | 5 | ალი ულიამსი |
| ფავიენ პელუ | 4 | კეიტ რობინსონი |
| პიტერ დევილიე | 3 | კარლ ჰეიმანი |
| რაფაელ იბანიესი (კაპ) | 2 | ენტონ ოლივერი |
| ოლივე მილუ | 1 | ტონი ვუდკოკი |
| **სათადარიგონი** | | |
| დიმიტრი შარჟევსკი | 16 | კევინ მილამუ |
| ჟან-ბატის პო | 17 | ნიიმია ტიალატუ |
| სებასტიენ შაბალი | 18 | კრის ჯეკი |
| იმანოლ არინოლდოკი | 19 | კრის მასო |
| ფრედერიკ მიშალაკი | 20 | ბრენდონ ლეონარდი |
| კრისტოფ დომინისი | 21 | ნიკ ევანსი |
| კლემენ პოიტრინუ | 22 | ისაია ტოეავა |

# ახალი სეზონი რუსთავში იწყება





დუდუ დადიანის მემორიალის შარშანდელი გამარჯვებული რუსთავის „აზოტი"

გურამ ფლუდიანაშვილის ფოტოები

**დღეს საკალათბურთო სეზონი დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირით იწყება. ცნობილი ქართველი მოთამაშისა და საკალათბურთო მოღვაწის მემორიალი წლეულს მეექვსედ გაიმართება. ეს ტურნირი ტრადიციულად ყოველთვის ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ტარდება, ასე რომ, ის ზედგამოჭრილია იმ გუნდებისთვის, რომლებმაც სეზონთაშორის პერიოდში ცვლილებები განიცადეს. არადა, ქართულ კალათბურთში ყოველთვის ასე იყო — კლუბები შემადგენლობას ძირფესვიანად ცვლიდნენ. ახლაც ასეა: ყველა გუნდს არაერთი ახალწვეული ჰყავს და კარსმომდგარი ტურნირიც ჩინებული გამოცდაა თითოეულისთვის. ამას გარდა, საკუთრივ დადიანის ტურნირის მოგებაც საკმაოდ პრესტიჟულია და გამარჯვებისთვის ქართული კალათბურთის მოწინავე გუნდები არაფერს დაიშურებენ. მონაწილე ექვსია — „ავიამშენი", თსუ, „მაკაბი", „დინამო", „ვითა" და შარშანდელი ჩემპიონი „აზოტი". გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" ამ გუნდების(ვითას გარდა) თავკაცები შეიკრიბნენ და საკლუბო სიახლეებსა და დამდეგ ტურნირზე ისაუბრეს**

***ლევან მოსეშვილი,*** „ავიამშენის" მთავარი მწვრთნელი:

— დიდი მადლობა ამ ტურნირის ორგანიზატორებს, საშუალებას რომ გვაძლევენ, დუდუ დადიანი გავიხსენოთ, თან ეროვნული ჩემპიონატის წინ შევამოწმებთ მეტოქეებსა და საკუთარ თავს. ეს ტურნირი კარგა ხანია, იმართება და უკვე საკმაო პოპულარობაც მოიხვეჭა. დადიანის თასის მოგება ყველასთვის პრესტიჟულია და მეამაყება, რომ ეს ტიტული 2-ჯერ მაქვს მოგებული „დინამოსა" და „ავიამშენის" სახელით...

— ამჯერადაც გამარჯვებას ვეცდებით, თუმც ძალიან გაგვიჭირდება. ტურნირის მასპინძელია რუსთავი, სადაც უცხო ქალაქის გუნდისთვის თამაში ძალიან ძნელია. თანაც „აზოტი" შარშანდელი გამარჯვებულია და ახლაც ძლიერი გუნდი ჰყავს. მგზავრობა, ხარჯები — ეს ყველაფერი ტვირთად დააწვება თბილისურ გუნდებს...

— 1 აგვისტოს შევიკრიბეთ და საკმაო დრო გვქონდა მოსამზადებლად. შესაბამისად, ფორმაში ვართ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია დასახვეწი. არაერთი ახალწვეული გვყავს: დავით იმნაძე, ლუკა შანიძე, ვახტანგ მინაშვილი, ნოდარ ბერაია და კოტე ტულუში. ვახტანგ ნაცვლიშვილიც ჩვენთანაა, მაგრამ ალბათ უცხოეთში წავა. თუ დღეს არ გაემგზავრა საზღვარგარეთ, დუდუ დადიანის ტურნირზე დაგვეხმარება...

— სირიაში საერთაშორისო ტურნირზე ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ გადაავადეს და დიდი შანსია, ოქტომბრის ბოლოს წავიდეთ. ასე თუ მოხდა, ეროვნულ ჩემპიონატში მოგვიანებით ჩავერთვებით.

***ზაზა ცაგარეიშვილი*** „დინამოს" მთავარი მწვრთნელი:

— 15 აგვისტოდან შევიკრიბეთ და იდეალურ პირობებში ვვარჯიშობთ „დინამოს" ბაზაზე. ცვლილებები ჩვენთანაცაა. ახალწვეულებს ჩამოვთვლი: რევაზ ათანელაშვილი, ლაშა დევიძე, დავით მაისურაძე და არჩილ ჟღენტი. აჩიკომ ზაფხულში ჩვენთან ბავშვთა მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, თუმცა ახლახან თამაშის სურვილიც გამოთქვა და ჩვენც სიამოვნებით დავთანხმდით. მისი გამოცდილება ძალიან გამოადგება „დინამოს" ახალგაზრდა მოთამაშეებს...

— ჩვენი მიზანია გუნდის შეკვრა-შეთამაშება, ლამაზი კალათბურთის თამაში და საბრძოლო სულის ამაღლება. მაღალ მიზნებს ვერ დავისახავთ, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ ნებისმიერ მეტოქესთან.

***ჯამლეტ ხუხაშვილი,*** „მაკაბის" მთავარი მწვრთნელი:

— ჩვენი გუნდი ძალიან გაძლიერდა ტყუპების, დავით და ირაკლი ბერიშვილების შემატებით, რომლებიც მოთამაშე მწვრთნელები იქნებიან. ისინი ადრეც თამაშობდნენ „მაკაბიში" და გუნდის მიმართ საკმაო ამაგიც გააჩნიათ. მათი მთავარი ფუნქცია „მაკაბის" ლიდერთან, გიორგი შერმადინთან შეთამაშება და ამ უკანასკნელის ნაყოფიერების ამაღლება იქნება. შერმადინს ამ ზაფხულის რამდენიმე შემოთავაზება ჰქონდა არაერთი ძლიერი ევროპული გუნდიდან, მაგრამ ისინი სათამაშო დროის გარანტიას ვერ იძლეოდნენ და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ის ამ სეზონშიც საქართველოში დარჩეს. მომავალი წლიდან გიორგი აუცილებლად წავა საზღვარგარეთ — შესაძლოა, პირდაპირ ნბა-შიც...

— ჩვენი მთავარი მიზანი კარგი თამაშის ჩვენება და სენსაციების მოხდენაა. „მაკაბის" ყოველთვის შეეძლო ძლიერების დამარცხება და ახლაც შესწევს ამის უნარი.

***ნუგზარ ჭეიშვილი,*** თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:

— თავდაპირველად მადლობა უნდა ვუთხრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომელმაც ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა გამოგვიყო და გუნდის დაშლა თავიდან აგვაცილა. ეს საკითხი დიდი ხანი არაა, რაც გადაწყდა და ამიტომაც ცოტა გვიან მოგვიწია შეკრება, არ ვიცოდით, გვეყოლებოდა თუ არა გუნდი. მე ბოლო წლებში სულ ახალი გუნდის დაკომპლექტება და ჩამოყალიბება მიწევდა. ასეა ახლაც. ვერ ვიტყვი, ვარსკვლავებს მოვკრეფთ ციდანო, მაგრამ საჩუქარიც არავისთვის არ ვიქნებით. ძველი გუნდიდან რამდენიმე ძლიერი მოთამაშე შევინარჩუნეთ: შიო ხეცურიანი, რიჩარდ მათიაშვილი, ლევან ტყეშელაშვილი, მიხეილ ფანჩულიძე. გვყავს ახალწვეულებიც: გიორგი მამაცაშვილი, მიხეილ ჩიტაშვილი და ირაკლი ჯგერენაია. ვნახოთ, რა გამოგვივა.

***დავით უსტიაშვილი,*** „აზოტის" მთავარი მწვრთნელი.

— ჩვენთან დიდი ცვლილებებია. გუნდი არაერთმა ლიდერმა დატოვა. კოტე ტულუში, გიორგი მარკოიშვილი, ვახტანგ მინაშვილი, დავით ბერძენიშვილი, ვაკო ბეჟანიშვილი, დავით უგრეხელიძე სხვა გუნდებში გადანაწილდნენ. დაგვემატნენ ბესო ლეჟავა, ზვიად ბაბიაშვილი, იური დანელიანი და რამდენიმე ახალგაზრდა „აზოტის" დუბლიორებიდან. ხვალ ველოდებით სერბ იოვან სტეფანოვს, რომელიც ბოლო წლებში ჩიკაგოს უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა და სტუდენტური ლიგის უმაღლეს, A დივიზიონში ურიგო ცენტრად არ ითვლებოდა. ის არის 1983-წლიანი და 208 სანტიმეტრი სიმაღლის. უთამაშია სერბეთის კადეტთა ნაკრებში და ევროპის ჩემპიონი გამხდარა. მისი დიდად გვეიმედება და თუ რა მოთამაშეა, დადიანის ტურნირზე გამოჩნდება. სტუდენტურ ლიგაში მისი საშუალო მონაგარი 10 ქულა და 6 მოხსნა იყო. გამორიცხული არაა, მეორე ლეგიონერიც შევიმატოთ. მაგრამ დადიანის ტურნირისთვის ეს არ მოესწრება...

— ჩვენი მიზანი ტიტულის შენარჩუნება იქნება. რუსთავში ვთამაშობთ და ცხადია, ყველა თამაშის მოსაგებად ვიბრძოლებთ.

**ირაკლი ბერტაია**

## დუდუ დადიანის მემორიალის განრიგი

**A ჯგუფი**

თბილავიამშენი, ვითა, დინამო

**B ჯგუფი**

თსუ, აზოტი, მაკაბი

**4 ოქტომბერი**

აზოტი — მაკაბი

ვითა — დინამო

**5 ოქტომბერი**

დინამო — თბილავიამშენი

თსუ — მაკაბი

**6 ოქტომბერი**

თბილავიამშენი — ვითა

თსუ — აზოტი

**7 ოქტომბერი**

A3 — B3

A2 — B2

A1 — B1

# ბოისამ რუსეთი ცხრიანით გახსნა

**20 წუთში** 9 ქულა, 1 მოხსნა, 1 დაფარება, 1 პასი — ასეთია ვლადიმერ ბოისას ოფიციალური დებიუტი ვლადივოსტოკის „სპარტაკ-პრიმორიეში". გუშინ რუსეთის ჩემპიონატი დაიწყო და ბოისას გუნდს პირველივე მეტოქე ისეთი ჰყავდა, მოგებაზე ვერც იოცნებებდა.

რუსეთის მოქმედი ჩემპიონი ცსკა ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთში ჩავიდა, სადაც მას განახლებული და ლეგიონერებით შემაგრებული „სპარტაკი" ელოდა. ვლადივოსტოკელებმა ზაფხულში ბოისასთან ერთად არაერთი მოთამაშე შეიძინეს, მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, ცსკა-სთან უშანსოდ იყვნენ. ჰოდა, არავის გაჰკვირვებია, რომ არმიელებმა იოლად, 89:63 მოიგეს.

ბოისამ ხუთეულში დაიწყო და როგორც ვთქვით, მოედანზე 20 წუთი გაატარა. მან 7 ორქულიანიდან 3 ჩააგდო, რასაც 1 სამიანი მიაყოლა, თუმცა საჯარიმოს ხაზიდან გვარიანი უზუსტობა გამოავლინა — ოთხივე სროლა ააცილა. მასზე მეტი პრიმორიელთაგან მხოლოდ ჯეიარ ბრემერსა და დამირ მილკოვიჩს ჰქონდათ — ცამეტ-ცამეტი.

ნამატჩევს ვლადივოსტოკელთა თავკაცმა სერგეი ბაბკოვმა, სხვებთან ერთად, ჩვენებურიც გამოარჩია.

„სამწუხაროდ, ჩვენ არ აღმოვჩნდით ცსკასთან თანასწორი ბრძოლისთვის მზად. დამაკმაყოფილებლად მხოლოდ პირველ მეოთხედში ვითამაშეთ, მერე მეტოქემ დაგვჯაბნა. ვფიქრობ, გადამწყვეტი მომენტი მაშინ იყო, როცა რომან ლევტერმა დაცვაში ცუდად ითამაშა, არმიელებს მიჯრით 4 ბურთის ჩაგდების უფლება მისცა და დიდი სხვაობით ჩამოვრჩით. მომეწონა გინევიჩუსის, ბრემერის, მილკოვიჩისა და ბოისას განწყობა და თავდადებული თამაში. სხვებისგან განსხვავებით, ისინი ბოლომდე იბრძოდნენ.

**ირაკლი ბერტაია**

## რეგულარული ჩემპიონატი. დასავლეთი კონფერენცია

# საკიკის ზარი და მოსალოდნელი ზვავი

**დღეს უკვე დასავლეთ კონფერენციაზე ვისაუბრებთ. სპეციალისტთა აზრით, წლეულს დასავლეთი უპრეცედენტოდ თანაბარია, აქ გამოკვეთილი ფავორიტი არ არსებობს და პლეი ოფში მოსახვედრად ძალიან სერიოზული ბრძოლები გაჩაღდება, რადგანაც სანუკვარი რვა ადგილის დასაკავებლად ერთი-ორი გუნდის გარდა, ყველას ძალუძს ბრძოლა**



## ცენტრალური დივიზიონი

### დეტროიტ რედ უინგსი

**ცვლილებები:** ლოკაუტის შემდეგ „წითელფრთიანები" ყოველწლიურად კარგავენ ვარსკვლავებს. ამ ზაფხულს დეტროიტიდან რობერტ ლანგი, მეტიუ შნაიდერი და ტოდ ბერტუცი აიბარგნენ. მეჩიგანელებმა შნაიდერს მალევე მოუძებნეს შემცვლელი ბრაიან რაფალსკის სახით, თუმცა წინა ხაზში მხოლოდ 38 წლის ვეტერანი დალას დრეიკი დაიმატეს. ამის გამო წლეულს ბევრი რამე გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებზე იქნება დამოკიდებული — იუჰან ფრანცენს, ვალტერ ფილპულასა და ირჟი ჰუდლერს საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობის აღება მოუწევთ.

**პროგნოზი:** „დეტროიტი" უკანასკნელ წლებში ალბათ პირველად არ მოიხსენიება რეგულარული ჩემპიონატის ფავორიტთა შორის. ამის მიუხედავად, გუნდს პლეი ოფში გასვლა არ უნდა გაუჭირდეს და ალბათ დივიზიონსაც მოიგებს. მაიკ ბებკოკმა კი გასულ სეზონში დაამტკიცა, რომ კარგად გამართული საპლეიოფო გუნდის ჩამოყალიბება არ ეშლება — ხოლო სანამ უბერებელი კიპერი დომინიკ ჰაშეკი და ლიგის საუკეთესო მცველი ნიკლას ლიდსტრიომი ჯანზე იქნებიან, „წითელფრთიანები" აუცილებლად იბრძოლებენ ლორდ სტენლის სახელობის თასისთვის.

### ნეშვილ პრედატორსი

**ცვლილებები:** „ნეშვილმა" ამ ზაფხულს კინაღამ დისლოკაცია შეიცვალა. გუნდს თითქოს ყიდიდნენ და ახალ მფლობელს კანადაში გადაბარგება ეწადა, მაგრამ ნჰლ-მა ეს გარიგება დაბლოკა და კლუბი ისევ ტენესიში დარჩა. თუმცა ამდენმა დავიდარებამ და გაურკვეველმა მომავალმა „მტაცებლების" ვარსკვლავები დააფრთხო და გუნდი მიყოლებით დატოვეს კაპიტანმა კიმო ტიმონენმა და სკოტ ჰარტნელმა („ფილადელფია"), ძირითადმა მეკარე ტომაშ ვოკოუნმა („ფლორიდა") და წამყვანმა თავდასხმელმა პოლ კარიამ („სენტ ლუისი"). „ნეშვილის" ერთადერთი ხეირიანი შენაძენი კი ცენტრი რადეკ ბონკია.

**პროგნოზი:** საეჭვოა, „მტაცებლებმა" მოახერხონ წინა ორი სეზონის მიღწევის გამეორება და პლეი ოფში გავიდნენ.

### ჩიკაგო ბლექ ჰოქსი

**ცვლილებები:** უკანასკნელი წლების ერთ-ერთი უსაზიზღრესი თავდასხმის გასაძლიერებლად „ქორებმა" რობერტ ლანგი და სერგეი სამსონოვი მოიყვანეს, უკანა ხაზი კი გამოცდილი ბრენტ სოპელით გააძლიერეს. თუმცა „ჩიკაგო" ყველაზე დიდ იმედებს თავის ახალგაზრდა ვარსკვლავებზე — ფარმ-კლუბიდან მოსულ ჯონატან ტაუესზე და წლევანდელ დრაფტზე პირველ ნომრად აყვანილ მინიატურულ პატრიკ კეინზე ამყარებს.

**პროგნოზი:** „ჩიკაგო" შეეცდება, პლეი ოფში მოსახვედრად იბრძოლოს, მაგრამ დასავლეთ კონფერენციის სიძლიერის გათვალისწინებით, „ქორებს" ძალიან უნდა გაუჭირდეთ მიზნის მიღწევა.

### სენტ ლუის ბლიუსი

**ცვლილებები:** „ბლუზმენების" უმთავრესი შენაძენი უდავოდ პოლ კარია გახლავთ. გარდა ამისა, „ატლანტაში" რამდენიმეთვიანი მოგზაურობის შემდეგ გუნდს ძველი ლიდერი კიტ ტკაჩუკი დაუბრუნდა.

**პროგნოზი:** ცბიერი ენდი მიურეის ხელში „ბლუზმენები" წლეულს ბევრს გააშწარებენ, მაგრამ სასწაულად უნდა მოხდეს, პლეი ოფის საგზური რომ მოიპოვონ.

### კოლუმბუს ბლუ ჯექეთსი

**ცვლილებები:** „ჟაკეტებმა" ახალგაზრდა ცენტრი ირჟი ნოვოტნი და გამოცდილი ჩეკერი მაიკლ პეკა დაიმატეს. „კოლუმბუსი" მხოლოდ მცველმა ანდერს ერიქსონმა დატოვა.

**პროგნოზი:** გუნდი ისევ აუტსაიდერობისთვის არის განწირული.

## ჩრდილო-დასავლეთი დივიზიონი

### კოლორადო ევალანში

**ცვლილებები:** გასულ სეზონში პლეი ოფში ვერმოხვედრამ „ზვავების" ხელმძღვანელობას აქტიურობისკენ უბიძგა და გუნდმაც სერიოზული შევსება მიიღო რაიან სმიტისა და უკანახაზელ სკოტ ჰენენის სახით. ისე, სმიტზე ამ ზაფხულს ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული და მას ლიგის თითქმის ყველა გუნდი ეპატიჟებოდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი „კოლორადოს" კაპიტან ჯო საკიკის ერთმა ზარმა გადაწყვიტა — სწორედ საკიკთან საუბრის შემდეგ არჩია სმიტმა კარიერის დენვერში გაგრძელება.

**პროგნოზი:** „ზვავები" გასული რეგულარულის მიწურულსაც საუკეთესონი იყვნენ ლიგაში, მაგრამ სეზონის სტარტზე იმდენი დაკარგეს, რომ მაინც პლეი ოფს მიღმა დარჩნენ. თუმცა წლეულს საეჭვოა, იგივე მოხდეს და თუ შოელ ქუენევილი ახალწვეულების ძლიერი მხარეების მაქსიმალურად გამოყენებას შეძლებს, მაშინ „კოლორადო" ეგებ სტენლის თასსაც წაეპოტინოს.

### ვანკუვერ კენექსი

**ცვლილებები:** „ვანკუვერი" ალბათ ყველაზე პასიური გუნდი იყო მთელ ნჰლ-ში. მან საშუალო დონის მცველები — აარონ მილერი და მაიკ ვივერი დაიმატა, დანაკლისი კი ჩეხი თავდასხმელი იან ბულისაა.

**პროგნოზი:** რობერტო ლუონგოს გამო „ვანკუვერს" დასავლეთის ფავორიტებს მიათვლიან. თუმცა ერთი კაცი რამდენს უნდა გაწვდეს — ეს სუპერკიპერი „კენექსს" ალბათ წელსაც გაათრევს პლეი ოფში, მაგრამ თუ გუნდმა დედლაინამდე წინა ხაზი სერიოზულად არ გააძლიერა, საეჭვოა, იქ რამე ღირებულს მიაღწიოს.

### კალგარი ფლეიმზი

**ცვლილებები:** „ალებმა" აქცენტი უკანა ხაზის გადახალისებაზე გააკეთეს. გუნდი დატოვეს რომან ჰამრლიკმა, ანდრეი ზიუზინმა და მარკ ჯიორდანომ, მათ ადგილზე კი სერიოზული შევსება მოვიდა აყლაყუდა ადრიან ოკოინის, კორი სარიჩისა და ანდერს ერიქსონის სახით. წინა ხაზის გასაძლიერებლად კი მხოლოდ ვეტერანი უეინ ნოლანი მოიწვიეს. გარდა ამისა, „ალებმა" ხუთი წლით შეინარჩუნეს კაპიტანი ჯერომ იგინლა (წელიწადში 7 მილიონს მიიღებს). თუმცა მთავარი ცვლილება მწვრთნელად კარგად ცნობილი მაიკ კინენის დანიშვნაა.

**პროგნოზი:** ფურცელზე „კალგარი" ძალიან ძლიერია — გუნდი ყველა ხაზში სოლიდურად გამოიყურება. თუმცა საკითხავია, როგორ შეეგუებიან „ალების" ვარსკვლავები კინენის დესპოტურ მეთოდებს — „რკინის მაიკი" დიდი მწვრთნელი კია, თუმცა ის ყველგან ნაყოფიერად ვერ მუშაობდა.

### მინესოტა უაილდი

**ცვლილებები:** „ველურებმა" „ბოსტონში" გაუშვეს ექსპირველი მეკარე მენი ფერნანდესი, რითაც შარშან მოულოდნელად გაბრწყინებულ ფინელ ნიკლას ბექსტრიომსა და ახალგაზრდა ჯოშ ჰარდინგზე გააკეთეს აქცენტი. წინა ხაზში კი მეორე კალიბრის თავდასხმელები დაიმატეს — ერიკ ბელანჟე და დომინიკ მური.

**პროგნოზი:** „მინესოტა" პლეი ოფში მოსახვედრად მებრძოლთა რიგებში იქნება, მაგრამ არანაირი გარანტიები არ არსებობს.

### ედმონტონ ოილერსი

**ცვლილებები:** „მენავთობეებმა" კანადაში თამაშზე ვერც ერთი ვარსკვლავური თავისუფალი აგენტი ვერ დაითანხმეს. სწორედ ამიტომ მხოლოდ დასტინ პენერი და შელდონ სურეი შერჩათ, რომლებსაც, ამასთანავე, საჭიროზე მეტს უხდიან და არავინ იცის, გამოადგებათ თუ არა. გარდა ამისა, „ედმონტონმა" მცველები გაცვალა „ფილადელფიასთან" — ჯეისონ სმიტში იონი პიტკანენი მიიღო.

**პროგნოზი:** პლეი ოფებში „ედმონტონის" ადგილს ვერავინ ხედავს.

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### სან ხოსე შარქსი

**ცვლილებები:** „ზვიგენებმა" ორი ერთნაირი სიძლიერის მეკარიდან საბოლოოდ ევგენი ნაბოკოვი ამოირჩიეს და ვესა ტოსკალა „ტორონტოში" გაუშვეს, თან მარკ ბელიც მიაყოლეს. გუნდი ბილ გერინმაც დატოვა. ერთადერთი მატება კი ვეტერანი და ნჰლ-ის კოლორიტი ჯერემი რონიკია.

**პროგნოზი:** „სან ხოსეში" ბევრი დასავლეთის უმთავრეს ფავორიტს ხედავს. გუნდში ყველა ლიდერი დარჩა ჯო ტორნტონისა და პატრიკ მარლოს მეთაურობით და ზაფხულში მათი პასიურობა არაფერს ნიშნავს — „ზვიგენებს" სახელფასო ფონდში 12 მილიონი ცარიელი აქვთ და დედლაინამდე სერიოზულად უნდა გაძლიერდნენ.

### ანაჰაიმ დაქსი

**ცვლილებები:** მოქმედ ჩემპიონს უმძიმესი ზაფხული ჰქონდა — გუნდი ერთბაშად ორმა ლიდერმა, კაპიტანმა სკოტ ნიდერმაიერმა და მთავარმა ბომბარდირმა ტეემუ სელიანემ დატოვეს (ორივემ კარიერა დაასრულა). გენერალურმა მენეჯერმა ბრაიან ბურკმა შემცვლელები „დეტროიტში" მოძებნა მეტიუ შნაიდერისა და ტოდ ბერტუცის სახით, თუმცა პირველის ასაკისა (38 წლისაა) და მეორის ქრონიკული ტრავმების გათვალისწინებით, ეს ძალიან რისკიანი კაპიტალდაბანდება გახლავთ.

**პროგნოზი:** „იხვები" პლეი ოფში კი მოხვდებიან, მაგრამ საეჭვოა, ამ შემადგენლობით თასის შენარჩუნება მოახერხონ.

### დალას სტარსი

**ცვლილებები:** ტეხასელები თითქმის არ გაძლიერებულან. გუნდში მხოლოდ საშუალოზე დაბალი დონის ჰოკეისტები, მაგრამ კარგად მოჩხუბრები — ტოდ ფედორუკი და ბრედ ვინჩესტერი მოვიდნენ. „დალასი" მხოლოდ მცველმა დერილ სიდორმა დატოვა.

**პროგნოზი:** „ვარსკვლავები" ფავორიტთა სიაში ველარ ხვდებიან, მაგრამ პლეი ოფში გასვლა მაინც უნდა შეძლონ.

### ლოს ანჯელეს კინგსი

**ცვლილებები:** „მეფეებმა" სერიოზული შევსება მიიღეს — წინა ხაზში მიხალ ჰანძუში, ლადისლავ ნადი და კაილ კალდერი, დაცვაში კი ტომ პრეისინგი და ბრედ სტიუარტი.

**პროგნოზი:** „ლოს ანჯელესი" შეძლებს პლეი ოფში გამსვლელი ადგილისთვის ბრძოლას, თუმცა გამართლების გარეშე იქ მოხვედრა არ უწერია.

### ფინიქს კოიტსი

**ცვლილებები:** არიზონელთა შემადგენლობაში მხოლოდ ორი სიახლეა — მეკარე დევიდ ეიბიშერი და თავდასხმელი მაიკ იორკი.

**პროგნოზი:** „კოლუმბუსის" გარდა „ფინიქსი" ის ერთადერთი გუნდია, რომელსაც პლეი ოფში მოხვედრის შანსი არ ექნება.

**კახა ლომჯარიძე**

# სერენამ და ვინუსმა ევრაზია გაიყვეს


ვინუს უილიამსი

**ბრძელდება** ბრძოლა წლის შემაჯამებელ ტურნირებზე მოსახვედრად. თითქმის ყველა მეჩოგნე, ვისაც შანხაიში (კაცები) და მადრიდში (ქალები) მოხვედრა გარანტირებული არ აქვს, ამ კვირაში თამაშობს და საჭირო ქულების დაგროვებას ცდილობს.

ყველაზე საინტერესო ტურნირი მაინც შტუტგარტში მიმდინარეობს, სადაც თითქმის ყველა ბობოლამ მოიყარა თავი. აქ თამაშს თავად ჟუსტინ ენინიც კი დათანხმდა, თუმც ჭინკა ბელგიელი ჯერ კორტზე არ გასულა. სამაგიეროდ, უკვე ითამაშა მეორე ნომერმა სვეტლანა კუზნეცოვამ და არცთუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აგნეშკა რადვანსკამ ნამდვილი ომი გაუმართა რუსს, სეტიც აართვა და ბოლომდეც იბრძოლა. მესამეში კუზნეცოვა 5:0 დაწინაურდა და თითქოს ყველაფერი გადაწყდა, მაგრამ ნურას უკაცრავად — პოლონელმა კინაღამ ეს ჩამორჩენაც ამოქაჩა, ანგარიში 5:3 გახადა და ბრეიკ-პოინტიც ჰქონდა, თუმც ორი უაზრო შეცდომა დაუშვა და რუსს სეტი და შესაბამისად მატჩიც ჩააბარა.

საშტუტგარტოდ მოიცალა სერენა უილიამსმა და ისეთი თამაში აჩვენა, რომ ყველას აგრძნობინა, აქ მარტო მოსაგებად ჩამოვედიო. უმცროს შავდას ხელთ ზუზანა ონდრაშკოვა ჩაუვარდა და საბრალო ჩეხს გეიმიც არ აალებინა. ამელი მორესმო კი ვერაფრით იბრუნებს ჩვეულ ფორმას, რაც ელენა დემენტიევასთან შეხვედრაშიც გამოჩნდა.

სერენა აგერ შტუტგარტში ჩაუქობს, მისი უფროსი და კი მსოფლიოს მეორე კიდეზე იჭნევს ჩოგანს. სეულში ტრიუმფის შემდეგ ვინუსმა იქვე ტოკიოში გადაინაცვლა და კორეისა არ იყოს, იაპონიაშიც მთავარი ფავორიტია — მისი დონის არავინ არის ამომავალი მზის ქვეყანაში თავმოყრილ ჩოგბურთელთაგან. უფროსი უილიამსი უკვე მეოთხედფინალშია, სადაც გზა თანამემამულე ვანია კინგის გაცამტვრებით გაიკვალა.

ტოკიოში ჩასულთაგან ერთადერთი მარია კირილენკო იყო ისეთი, უილიამსის გამკავებელს რომ ჰგავდა, მაგრამ რუსი პირველივე წრეში დაიფრინეს — მაშას ზედიზედ მესამე კვირა მოუწია თამაში და ჩანს, მაგრადაც გადაიღალა.

კაცი მეჩოგნეები კი იმავე ტოკიოსა და მეცს შორის გადანაწილდნენ. იაპონიის დედაქალაქში წლეულს როჯერ ფედერერსაც ელოდნენ, მაგრამ შვეიცარიელმა სეზონის მიწურულს შორეულ აზიაში მოგზაურობას თავი აარიდა — არც ბანგკოკში ჩავიდა და ტოკიოში თამაშიც იუარა.

**ქახა ლომჯმშვილი**

**კაცები. ტოკიო. იაპონია. ჰარდი. საპრიზო 832 000 $**

**მეორე წრე**

**დავიდ ფერერი** (1, ესპანეთი) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 6:2; **ვინსენტ სპადეა** (აშშ) — სერხიო როიტმანი (14, არგენტინა) 4:6 6:1 7:6; **ფელისიანო ლოპესი** (10, ესპანეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:2 6:4; **დმიტრი ტურსუნოვი** (6, რუსეთი) — პოლ კაპდევილი (ჩილე) 6:3 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (4, ავსტრალია) — ლუკა გრეგორჩი (სლოვენია) 6:3 6:3; **ივან ნავარო პასტორი** (ესპანეთი) — სემ ქუერეი (13, აშშ) 7:5 6:3; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (9, სამხრეთ კორეა) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:1 6:4; **ივო კარლოვიჩი** (7, ხორვატია) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:4 6:3; **იარკო ნიემინენი** (5, ფინეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:3 4:6 6:4; **დუდი სელა** (ისრაელი) — ხუან მარტინ დელ პოტრო (14, არგენტინა) 2:6 7:5 5:3 (უარი); **რიშარ გასკე** (3, საფრანგეთი) — ზაკ ფლეიშმანი (აშშ) 6:3 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (8, ესპანეთი) — მიხაელ ზვერევი (გერმანია) 6:3 6:2; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4 6:4; **მაიკლ რასელი** (16, აშშ) — მარინ ჩილიჩი (ხორვატია) 7:6 2:6 6:1; **ტომაშ ბერდიხი** (2, ჩეხეთი) — ირჟი ვანეკი (ჩეხეთი) 6:1 6:4

**კაცები. მეცი. საფრანგეთი. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 353 450 ევრო**

**პირველი წრე**

**ტომი რობრედო** (1, ესპანეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 4:6 7:6 6:2; **ანდრეას სეპი** (იტალია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2 6:4; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — ჟილ სიმონი (6, საფრანგეთი) 6:2 6:1; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — პოლ-ანრი მატიო (4, საფრანგეთი) 6:4 6:1; **ნიკოლა მაეუ** (საფრანგეთი) — მატიე მონკური (საფრანგეთი) 6:2 7:5; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 3:6 6:4 7:6; **ფილიპ კოლშრაიბერი** (7, გერმანია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3 6:1; **ჟო-ვილფრიდ ტსონგა** (საფრანგეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:7 6:4 6:4; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ვერნერ ეშბაუერი (ავსტრია) 4:1 (უარი); **ენდი მიურეი** (3, ბრიტანეთი) — იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი) 6:4 1:6 6:2; **ევგენი კოროლიოვი** (რუსეთი) — პოტიტო სტარაჩე (5, იტალია) 6:3 6:3; **მარკ ჟიკელი** (საფრანგეთი) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 6:4 7:6; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — დავიდ გუეზი (საფრანგეთი) 7:5 6:7 6:2; **გილერმო კანასი** (2, არგენტინა) — მიხაილ ლედოვსკიხი (რუსეთი) 7:6 6:4

**ქალები. შტუტგარტი. გერმანია. ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 650 000 $**

**პირველი წრე**

**დინარა საფინა** (იაპონია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 5:7 6:2 6:4; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:2 7:5; **შაჰარ პეერი** (ისრაელი) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 6:1 7:6; **ნადია პეტროვა** (რუსეთი) — ტატიანა მალეკი (გერმანია) 2:6 6:1 6:1; **ტატიანა გოლოვინი** (საფრანგეთი) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:1 6:1; **სერენა უილიამსი** (აშშ) — ზუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:0 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:1 6:3; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — კარინ კნაპი (იტალია) 7:5 6:0

**მეორე წრე**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:4 6:7 6:3

**ქალები. ტოკიო. იაპონია. ჰარდი. საპრიზო 175 000 $**

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — ვანია კინგი (აშშ) 6:0 6:4; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:1 6:0; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — მენგ იუანი (ჩინეთი) 7:6 4:6 6:1; **კლარა ზაკოპალოვა** (ჩეხეთი) — ურსულა რადვანსკა (პოლონეთი) 6:2 3:6 6:2; **ვირჟინი რაზანო** (5, საფრანგეთი) — ელენა ბალტაჩა (ბრიტანეთი) 6:2 6:2; **კამილ პენი** (საფრანგეთი) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:1 6:0; **ფლავია პენეტა** (8, იტალია) — აბიგაილ სპირსი (ბრიტანეთი) 6:4 7:6; **სანია მირზა** (2, ინდოეთი) — კეისი დელაკუა (ავსტრალია) 6:4 3:6 6:4

**ქალები. ტაშკენტი. უზბეკეთი. ჰარდი. საპრიზო 145 000 $**

**პირველი წრე**

**პაულინ პარმენტიე** (საფრანგეთი) — დომინიკა ციბულკოვა (2, სლოვაკეთი) 6:2 6:2; **ვიქტორია აზარენკა** (1, ბელარუსი) — სუ-ვეი ჰსი (ტაივანი) 6:3 6:4; **ანასტასია იაკიმოვა** (ბელარუსი) — ანასტასია როდიონოვა (8, რუსეთი) 6:3 6:0

**მეორე წრე**

**ელენა ვესნინა** (4, რუსეთი) — ტატიანა პუჩეკი (ბელრუსი) 7:5 6:4; **იოანა რალუკა ოლარუ** — (5, რუმინეთი) მარია კორიცევა (უკრაინა) 6:2 6:2; **აკგულ ამანმურადოვა** (უზბეკეთი) — ოლგა პუჩკოვა (7, რუსეთი) 7:5 6:3; **ქსენია პალკინა** (ყირგიზეთი) — ვლადა ეშკიბაროვა (უზბეკეთი) 7:5 5:7 7:5

# დევიძე ტროაში ვერ შევიდა

**წარმატებით** დაიწყო ფრანგული ნანტის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიან შეჯიბრში თამაში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა.

მე-4 ნომრად განთესილმა მაკამ პირველ წრეში დაძაბულ სამსეტიან ბრძოლაში 7:6 1:6 6:4 აჯობა 18 წლის რუმინელ ალექსანდრა ლუგერუს, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 252-ე ადგილი უკავია.

მეორე წრეში ჩახნაშვილი 21 წლისა და რეიტინგშის 230-ე ადგილზე მყოფ ბრიტანელ მელანი საუთს შეხვდება, რომელმაც საწყის ეტაპზე ბრაზილიელ ფერნანდა ერმენეჟილდოს 6:2 6:2 სძლია.

ამ კვირაში კიდევ ერთი ქართველი თამაშობდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე. ამერიკულ ტროაში 50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება და სალომე დევიძე კვალიფიკაციიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას. იტალიელ ჯიადაჯიოავანა დორტინასთან 6:3 6:3 გამარჯვების შემდეგ, სალომემ 6:2 6:3 მოუგო 17 წლის და კლასიფიკაციაში 943-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ დანიელე მილსს, მაგრამ კვალიფიკაციის მესამე და გადამწყვეტ წრეში 6:7 2:6 დამარცხდა მეორე მასპინძელთან, 18 წლის კიმბერლი კოუტსთან, ვისაც რეიტინგში 498-ე საფეხური უპყრია და ძირითად ბადეში ვერ შეაღწია.



**საქართველოს ხელბურთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — თბილისის „თბილისის" თავკაცმა მამუკა მჟავანაძემ ნაკრების მწვრთნელის პოსტზე მერაბ მეტრეველი შეცვალა. ეს ამბავი გუშინ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდა, რომელსაც ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა თამაზ თევზაძემ უხელმძღვანელა. აღმასკომის დასრულების შემდეგ თამაზ თევზაძეს გავესაუბრეთ**



# თევზაძემ ნაკრები მჟავანაძეს ჩააბარა

**— ნაკრების მწვრთნელის შეცვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

— ვფიქრობთ, რომ ცვლილებები აუცილებელია. მერაბ მეტრეველი თავისი საქმის პროფესიონალი და კარგი პიროვნებაა. მან ბევრი გააკეთა ქართული ხელბურთისთვის და კიდევ ბევრს გააკეთებს, უბრალოდ ამ შემთხვევაში ცვლილებები საჭირო იყო. მე პირადად ველაპარაკე მერაბ მეტრეველს, ვითარება ავუხსენი. ისიც დამეთანხმა. ახალი მწვრთნელი მამუკა მჟავანაძე თავისი შედეგებით იმსახურებს, რომ ეროვნულ ნაკრებს უხელმძღვანელოს. ამასთან ნაკრებების ადმინისტრატორად დაინიშნა ვეტერანი ხელბურთელი გიორგი ბარათაშვილი, ექიმი კი ნიკო შათირიშვილი იქნება.

**— სხვა ასაკობრივ ნაკრებებში არის საკადრო ცვლილებები?**

— 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებს წარსულში ცნობილი ხელბურთელი ირაკლი კეკელიძე უხელმძღვანელებს. მომავალი წლიდან კი 1992-93 წლებში დაბადებულთა ნაკრებს გავაკეთებთ, რომლის მწვრთნელი იაგო ჩხეიძე იქნება.

**— ნაკრების აქამდელ მთავარ მწვრთნელს მერაბ მეტრეველსა და საპრეზიდენტო არჩევნებში თქვენს კონკურენტს ჯემალ ცერცვაძეს რა საქმიანობა შესთავაზეთ?**

— მერაბ მეტრეველი დიდ სარგებელს მოუტანს ქართულ ხელბურთს. ეს აქტიურად ჩაერთვება ჩვენს მუშაობაში და მისი რჩევები სასარგებლოც იქნება. იგი ასე ვთქვათ საგარეო და საშინაო საქმეებში ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს, ხოლო ჯემალ ცერცვაძე ნაკრების კოორდინატორი და კონსულტანტი იქნება.

**ბაჩო სვანიძე**



FENCING WORLD CHAMPIONSHIP St.PETERSBURG

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

სანქტ პეტერბურგი, რუსეთი. 28 სექტემბერი – 7 ოქტომბერი

# პოზდნიაკოვის 10 ოქრო

**სანქტ პეტერბურგში** მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველმა მოფარიკავეებმა პირად პირველობაში გამოსვლა დაასრულეს. ხმლით მოფარიკავეთაგან განსხვავებით, დაშნაში შეჯიბრი ოდნავ სახეშეცვლილი ფორმატით ჩატარდა. პლეი ოფში 64-ის ნაცვლად, 128 მოფარიკავე დაუშვეს და, მათ შორის, ორი ჩვენებურიც აღმოჩნდა — დავით ელბაქიძე და დავით არველაძე. არველაძე პირველივე წრეში 8:15 დამარცხდა ირანელ ჰამედ სედგჰატისთან, ხოლო ელბაქიძემ სამხრეთაფრიკელ ანდრის მაკდონალდს 15:7 კი მოუგო, მაგრამ მერე პუერტორიკოელ ჯონათან პენასთან 8:15 წააგო და შეჯიბრი დაასრულა.

ახლა ქართველები ამ ორივე სახეობაში — ხმალშიც და დაშნაშიც, გუნდურ შეჯიბრში მიიღებენ მონაწილეობას და იმედია, უფრო მეტი წარმატებით გამოვლენ.

ამასობაში ხმლით მოფარიკავე კაცებმა პირადი პირველობა დაასრულეს და ჩემპიონობა სახელოვანმა რუსმა სტანისლავ პოზდნიაკოვმა მოიპოვა. ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი პოზნდნიაკოვისთვის ეს მსოფლიოს პირველობებზე მოპოვებული მე-10 ოქროს მედალი იყო და ამ ათიდან 34 წლის რუსმა ხუთი პირად შეჯიბრებებში მოიპოვა, რაც ხმლით მოფარიკავეთათვის აბსოლუტური რეკორდია.



პოზდნიაკოვს ყველაზე მეტად მეოთხედფინალში, ფრანგ ბორის სანსონთან გაუჭირდა და ბოლოსკენლა გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა — 15:14. ნახევარფინალში რუსმა კორეელ ეუნ სეოკ ონს 15:12 მოუგო, ხოლო ფინალში ოლიმპიური ჩემპიონი, იტალიელი ალდო მონტანო 15:11 დაჯაბნა.

**კაცები**

**ხმალი. პირადი**

1. სტანისლავ პოზდნიაკოვი (რუსეთი)
2. ალდო მონტანო (იტალია)
3. ნიკოლას ლიმბახი (გერმანია)
4. ეუნ სეოკ ონი (კორეა)

# ჩემპიონთა ლიგა 2007-2008. ჯგუფური ეტაპი. II ტური, პირველი დღე

## A ჯგუფი

### ლივერპული 0:1 მარსელი

0:1 ვალბუენა (77)

ლივერპული: რეინა, ლეტო (რიისე 52), ჰიიპია, კარაგერი, ფინანი, აურელიო (ვორონინი 70), სისოკო, მასკერანო, ჯერარდი, ტორესი, კრაუჩი (კუიტი 75)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მარსელი: მანდანდა, ტაივო, გივე, ბონარი, ვალბუენა (ორუმა 83), როდრიგესი, შეირუ, ზიანი, კანა, ზენდენი (არაჩე 88), ჯ. სისე (ნიანგი 70)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ჯერარდი, სისოკო, კარაგერი

მსაჯი: პლაუცი (ავსტრია)

41 355 მაყურებელი

### ბეშიქთაში 0:1 პორტუ

0:1 კვარესმა (90)

ბეშიქთაში: არიკანი, კურტულუსი (ტანდოღანი 71), ზანი, ტორამანი, იუზულმეზი, ოზკანი, ე. სისე, ტელიო, დელგადო, აკინი (ფ. იგუაინი 67), ბობო (ნობრე 27)

მწვრთნელი: ერტუღრულ საღლამი

პორტუ: ელტონი, ბ. ალვეში, სტეპანოვსი, ბოსინგვა, ფუსილე, მეირელეში (ლიმა 88), ლ. გონსალესი, პ. ასუნსაო, კვარესმა, ლ. ლოპესი (ადრიანუ 75), სეკტიუ (მ. ჩეხი 66)

მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა

გაფრთხილება: გონსალესი, ნობრე, ალვეში, ტანდოღანი

მსაჯი: ვინკი (ჰოლანდია)

33 750 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ლივერპული | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ბეშიქთაში | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## B ჯგუფი

### ვალენსია 1:2 ჩელსი

1:0 ვილია (9), 1:1 ჯ. კოული (21), 1:2 დროგბა (71)

ვალენსია: ჰილდებრანდი, ალბიოლი, მარჩენა, ელგერა, მიგელი, მორეტი, ალბელდა (ბარახა 75), დ. სილვა, ხოაკინი (არისმენდი 88), ვილია, მორიენტესი (ჟიგიჩი 69)

მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი

ჩელსი: პ. ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკელელე, ესიენი (სიდველი 84), მიკელი (ალექსი 88), მალუდა (ს. კალუ 86), ჯ. კოული, დროგბა

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: მარჩენა, ალექსი

მსაჯი: როზეტი (იტალია)

40 000 მაყურებელი

### რუსენბორგი 0:2 შალკე

0:1 ჯონსი (62), 0:2 კურანი (89)

რუსენბორგი: ჰირშფელდი, კოპინენი, ბასმა, დორსინი (ია 79), რისეტი, ივერსენი, სტრანდი, ტეტე, შელბრეიდი (ი. კონე 68), საპარა, ტრაორე

მწვრთნელი: კნუტ ტორუმი

შალკე: ნოიერი, ჰოვედესი, ბორდონი, ვესტერმანი, რაფინია, ერნსტი, ბაირამოვიჩი, ჯონსი (ვარელა 84), ლოვენკრანდსი (ასამოა 64), რაკიტიჩი (გროსმიულერი 75), კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: რაფინია, საპარა, რისეტი, ჯონსი, ნოიერი

მსაჯი: გილევსკი (პოლონეთი)

21 361 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| შალკე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

## C ჯგუფი

### ლაციო 2:2 რეალი

0:1 ვან ნისტელროი (8), 1:1 პანდევი (32), 1:2 ვან ნისტელროი (62), 2:2 პანდევი (75)

ლაციო: ბალოტა, სტენდარდო, ძაური, კრიბარი, მუტარელი, მაური (დელ ნერო 79), ბ. ლედესმა, მუდინგაი, ბეხრამი (სკალონი 67), პანდევი, როკი (მაკინვა 67)

მწვრთნელი: დელიო როსი

რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო, მ. დიარა, გუტი, სნეიდერი (დრენტე 88), რობენი (გ. იგუაინი 79), რაული (სავიოლა 83), ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი

გაფრთხილება: ჰაინცე

მსაჯი: დე ბლეკერე (ბელგია)

65 000 მაყურებელი

### ვერდერი 1:3 ოლიმპიაკოსი

1:0 უგო ალმეიდა (32), 1:1 სტოლტიდისი (67), 1:2 პაცაცოღლუ (82), 1:3 კოვაჩევიჩი (87)

ვერდერი: ვანდერი, პასანენი, მერტესაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ფრიცი (ბოროვსკი 63), ფრინგსი, დიეგო, დ. იენსენი, უგო ალმეიდა, როზენბერგი (სანოგო 76)

მწვრთნელი: თომას შაფი

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი (პანტოსი 86), ანცაში, ბრავო, დომი (ჟ. სეზარი 19), პაცაცოღლუ, ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი (კოვაჩევიჩი 72), ჯორჯევიჩი, ლუა-ლუა

მწვრთნელი: ტაკის ლემონისი

გაფრთხილება: ლედესმა, სანოგო

მსაჯი: ლარსენი (დანია)

37 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| რეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ლაციო | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ვერდერი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

## D ჯგუფი

### სელტიკი 2:1 მილანი

1:0 მაკმანუსი (62), 1:1 კაკა (68პ), 2:1 მაკდონალდი (90)

სელტიკი: ბორუცი, ნეილორი, კოლდუელი, მაკმანუსი, დომბი (კენედი 79), ბრაუნი, ჰარტლი, დონატი, იაროშიკი (კილენი 84), მაკდონალდი, მაკგიდი (ნაკამურა 84)

მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი

მილანი: დიდა (კალაჩი 90), ოდო, ბონერა, ნესტა, იანკულოვსკი, გატუზო, ამბროზინი, პირლო, კაკა, ზეედორფი (გურკუფი 55), ინძაგი (ჯილარდინო 77)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ბრაუნი, ამბროზინი, დონატი, მაკდონალდი, ნესტა

მსაჯი: მერკი (გერმანია)

58 643 მაყურებელი

### ბენფიკა 0:1 შახტარი

0:1 ჟადსონი (42)

ბენფიკა: კიმი, ლეო, ლუიზაო, ნელსონი (ნ. გომეში 45), ლუგანო, მ. პერეირა, დი მარია (ბინია 61), კაცურანისი, რუი კოშტა, კ. როდრიგესი, კარდოსო

მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო

შახტარი: პიატოვი, ილსინიო (დულიაი 79), კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი, ლევანდოვსკი (ჰუბშმანი 87), ჟადსონი (კასტილიო 77), ფერნანდინიო, სრნა, ბრანდაო, კ. ლუკარელი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: კაცურანისი, კარდოსო, როდრიგესი, სრნა, ფერნანდინიო, კასტილიო

მსაჯი: შტარკი (გერმანია)

34 646 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ბენფიკა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |



„რუსენბორგის“ მეკარე ლარს ჰირშფელდი მიწაში ჩაერჭო

AFP

# ამ ლიგაში სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა

**ქვაძქცეული** უნდა ყოფილიყავი კაცი, „მილანთან“ სალიგო ჯახის წინ „სელტიკის“ არენაზე თავმოყრილი ფანობის ომახიანი მღერა რომ არ მოგესმინა და გული არ შეგტოკებოდა. ჩრდილოელებმა იმღერეს, იყიჟინეს და მათგან საბრძოლველად გავეშებულ „სელტიკსაც“ კარლო ანჩელოტის იტალიური გრანდი შეეწირა. მაკმანუსის და მაკდონალდის გოლებმა ადგილობრივებს საამსეზონო ლიგაში პირველი სამი ქულა არგუნეს.

პირველი ტაიმი ბრიტანულ სტილში, კოკისპირული წვიმის თანხლებით ორმხრივ ბრძოლაში წარიმართა და გუნდებმა შესვენებას უგოლოდ მიაშურეს. თამაშის მეორე ნახევარში მაკმანუსმა „მილანის“ დაცვის შეცდომის შემდეგ შოტლანდიელები დააწინაურა, რასაც „მილანი“ რამდენიმე წუთში კაკას მიერ შესრულებული ზუსტი პენალტით პასუხობს. დაძაბული ბრძოლა თითქოს ამ ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, თუმცა ანჩელოტის გუნდს მაკდონალდმა 90-ე წუთზე ჩასცა ლახვარი. იტალიელთა მეკარე დიდა კი მოედანზე შევარდნილი მავანი თავგახურებული შოტლანდიელი ფანისგან დაილახვრა — გოლკიპერი საკაცით გაიყვანეს...

„ჩელსიმ“ „მესტალიაზე“ მოიგო. „ვალენსიას“ აქამდე მისთვის სასიკეთო ტრადიცია ჰქონდა — თუ ლიგას შინაურ არენაზე წარმატებული დებიუტით იწყებდა, იმარჯვებდა კიდეც. ასე მოხდა 1999-2000-ის სეზონში „რეინჯერსთან“, 2001-01-ში „ოლიმპიაკოსთან“, 2002-03-ში „ლივერპულთან“, 2004-05-ში „ანდერლეხტთან“ და გასულ სეზონში „რომასთან“. გუშინ კი კიკე სანჩეს ფლორესის გუნდმა „ლამურათა“ მამულში ჟოზე მაურინიუს გარეშე მივარდნილ ინგლისელებთან წააგო.

ვილიას პირველ გოლს „ჩელსიმ“ ჯო კოულისა და დიდიე დროგბას იღბლიანი დარტყმებით უპასუხა. არადა, როგორ უნდოდა „ვალენსიას“, შარშან მეოთხედფინალში დამარცხებისთვის შური ეძია...

„ლივერპული“ საკუთარ „ენფილდ როუდზე“ ამოყირავდა. ალბიონზე გამარჯვება ერიკ გერეტსის ჩაუქმა ფრანგებმა იზეიმეს. „მარსელმა“ ვალბუენას გოლით გაიმარჯვა, „ლივერპულს“ 60 მილიონად ღირებულ ფორვარდთა ოთხეულს კი ამიერიდან ხალხი ეჭვის თვალით შეხედავს — გუნდს ძლიერი მოიერიშეები ჰყავს და გოლის გატანას ვერ ახერხებს.

უკრაინულმა „შახტარმაც“ სტუმრად მოიგო. ამ გუნდმა ზაფხულში ტრანსფერებში ბლომად ფული ჩაყარა და გაუმართლა კიდეც. „ბენფიკასთან“ გოლი ჟადსონმა გაიტანა.

ლიგის მეორე ტური საერთოდ სტუმრებისა გახლდათ. „პორტუმ“ თურქულ ჯოჯოხეთში იმარჯვა და რიკარდუ კვარესმას გოლით „ბეშიქთაშთან“ 3 ქულა იზეიმა. „შალკემ“ „რუსენბორგი“ გააკრა ბეჭებზე ნორვეგიაში, ხოლო „ოლიმპიაკოსმა“ „ვეზერშტადიონზე“ „ვერდერი“ დაამარცხა.

დამძობილებული გუნდების, „ლაციოს“ და „რეალის“ ჯახი ფრედ მორჩა „სტადიო ოლიმპიკოზე“.

აღსანიშნავია, რომ „რეალის“ წინა სტუმრობა „ლაციოსთან“ 2:2 დასრულდა, ისევე, როგორც გუშინდელი შეხვედრა. ოღინდელ ჯახში მადრიდელთაგან რაულმა და სოლარიმ იყოჩაღეს, ახლა კი რუუდ ვან ნისტელროიმ.

იტალიელთაგანაც ორივე პანდევმა შეაგდო, „ლაციოს“ მაკედონიელმა განსაკუთრებით ლამაზი მეორე გოლი გაიტანა.

**ლადო ხომერიკი**



დიდიე დროგბა

AFP

## ინგლისი

ჩემპიონატი. IX ტური

კოლჩესტერი 4:2 ქუინზ პარკი

ვესტ ბრომვიჩი 1:1 სტოკი

## პოლონეთი

თასი. II ეტაპი

კორონა 1:1 იაგელონია

ბელხატუვი 1:1 ვისლა

გურნიკი 1:0 სოსნოვიეცი

## სლოვენია

I ლიგა. XII ტური

პრიმორიე 1:2 ნოვა გორიცა

ინტერბლოკი 4:1 დრავა

ნაფტა 2:0 პუბლიკუმი

მარიბორი 3:3 კოპერი

დომჟალე 2:1 ლივარი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორჩილავა
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00